უნივერსიტეტი

15 აპრილი, პარასკევი, 2011 წ. №5 (2116)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

როგორ ვუფრთხილდებით წარსულში ნალოლიავებ ენას?

„14 აპრილი, გარკვეულწილად, ანგარიშგების დღე უნდა იყოს, როდესაც თითოეულმა ჩვენგანმა ერს, ქვეყანას ანგარიში უნდა ჩააბაროს – თუ რა გააკეთა მან მთელი წლის მანძილზე ქართული ენის სასიკეთოდ", — ასე ფიქრობდა ქართული ენის დღის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, აკადემიკოსი არნოლდ ჩიქობავა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც ერთ-ერთი მოთავე იყო 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებისა, ეს დღე, ტრადიციულად, სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა და ამით არნოლდ ჩიქობავას მიერ ნაკარნახევიც, გარკვეულწილად, აღსრულდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესურამ სტუდენტებს ქართული ენის დასაცავად საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ აბობოქრებული უნივერსიტეტის ხატი გაუცოცხლა და ქართული ენის სტატუსის განსამტკიცებლად საჭირო ღონისძიებების გატარების თაობაზეც მოითათბირა (თუმცა, კონკრეტული ამოცანების გადაჭრა მათ, სამწუხაროდ, არ ხელეწიფებათ). ალბათ, აუცილებელია, მომავალმა თაობამაც იცოდეს, რა წვლილი მიუძღვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იმ საერთო სახალხო საპროტესტო ტალღის აგორებაში, რამაც საბჭოთა იმპერია აიძულა დათმობაზე წასულიყო.

მე-3 გვერდზე

პრეზიდენტის ინიციატივები ქართული ენის სტატუსის განსამტკიცებლად

იმ ბაკალავრებს, რომლებსაც რეგიონებში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის ერთი წლის სტაჟი ექნებათ, 500-ლარიან ხელფასთან ერთად, სახელმწიფო მაგისტრატურაში სწავლას დაუფინანსებს.

14 აპრილს, ქართული ენის დღესთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის სასახლეში განათლებისა და მეცნიერების, ასევე, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრებს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან საზღვრისპირა რეგიონებში ქართული ენის გაძლიერებული სწავლების შესახებ ისაუბრა. ამ საკითხთან დაკავშირებით პრეზიდენტმა საზღვრისპირა რეგიონების გუბერნატორებისგან სრული ინფორმაცია მიიღო და მათ გარკვეული დავალებებიც მისცა. პედაგოგების წახალისების მიზნით, მიხეილ სააკაშვილი ახალი ინიციატივითაც გამოვიდა და აღნიშნა, რომ მასწავლებლები, რომლებიც რეგიონებში ქართული ენის სასწავლებლად წავლენ, 500-ლარიან ხელფასს მიიღებენ, ხოლო იმ ბაკალავრებს, რომლებსაც რეგიონებში ქართული ენის მასწავლებლად მუშაობის ერთი წლის სტაჟი ექნებათ, 500-ლარიან ხელფასთან ერთად, სახელმწიფო მაგისტრატურაში სწავლას დაუფინანსებს.

„ყველაზე მეტად მაღელვებს ის, რომ რამდენიმე ასეული ათასი ჩვენი თანამოქალაქე, რომელიც ეთნიკური ჯგუფებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში ცხოვრობს, წინა წლებში განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, ქართულ ენას ჯერ კიდევ ვერ ფლობს იმ დონეზე, რომ დამოუკიდებელ საქართველოში უფრო წარმატებული კარიერა შეიქმნას. დღეს ყველანი თანასწორი ვართ და გამიხარდებოდა, თუ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები სხვადასხვა თანამდებობის პირები იქნებოდნენ მთავრობაში, ასევე გამიხარდება, თუ მათი რაოდენობა გაიზრდება პარლამენტში, ბიზნესში, განათლების სისტემასა და სხვა სფეროებში. ერთ-ერთი მთავარი, რაც ყოველივე ამას შეუწყობს ხელს, არის ქართული ენის ადეკვატური ცოდნა. ჩვენ დიდი რესურსი დავხარჯეთ იმაში, რომ ინგლისურენოვანი მასწავლებლები შემოგვეყვანა, მათ შორის, იმ რეგიონებში, სადაც ჩვენი ის მოქალაქეები ცხოვრობენ, რომლებიც კარგად ვერ ფლობენ სახელმწიფო ენას. თუმცა, ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს ის, რომ გადამწყვეტი არის სახელმწიფო ენა.

კურსი ავიღოთ იმაზე, რომ მომავალი წლის ბოლომდე ყველა არაქართულენოვან სკოლაში საგნების 30 % ისწავლებოდეს ქართულად. ეს ნიშნავს, რომ მათემატიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია, ისტორია - ამ საგნების დიდი ნაწილი მაინც უნდა იყოს, ვთქვათ, ქართულად და აზერბაიჯანულად, სომხურად და ქართულად, რუსულად და ქართულად, ოსურად და ქართულად.

დოქტორანტურის ყველა სტუდენტს კრედიტებში ჩაეთვლება ქართული ენის სწავლება. ამგვარად, ჩნდება სტიმული - გარდა იმისა, რომ დოქტორანტებს, მაძიებლებლობასთან ერთად, ექნებათ ხელფასი, იმისთვის, რომ ქართულ ენას ასწავლიან, ვთქვათ, მარნეულში, ნინოწმინდაში, ახალქალაქში ან ბოლნისის რაიონში, მიეცემათ კრედიტები. ყველა ადგილობრივი მასწავლებელი კი, ვინც საგნებს ორ ენაზე ასწავლის, მიიღებს 200-ლარიან დანამატს. ეს პედაგოგები გაუთანაბრდებიან მათ, ვინც ატესტაციას გადის და ეს მათაც ატესტაციის ჩაბარებად ჩაეთვლებათ.

გავალებთ, რომ მთავრობასთან ერთად გამოვყოთ დამატებითი ფინანსები, დავიწყოთ საინფორმაციო კამპანია, რათა მომავალი წლის დამლევამდე ეს თემა, ძირითადად, ამოიწუროს", — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მთავრობის წევრებთან საუბრისას.

რა შემთხვევაში დავკარგავთ ენას ურუსეთოდაც — მე-3 გვერდზე

ვინ ჩადებს ინვესტიციას მზის ბატარეების წარმოებაში — მე-4 გვერდზე

ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიატები — მე-5 გვერდზე

ორმხრივი დიპლომის მიღების შესაძლებლობა მათემატიკაში — მე-6 გვერდზე

ნუ მიიღებთ ანტიბიოტიკებს რჩევის გარეშე! — მე-7 გვერდზე

უკრაინისტიკის განვითარებას პერსპექტივა გამოუჩნდა — მე-8 გვერდზე

წამები, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი სამყარო — მე-10 გვერდზე

ქართული ენის ქომაგი ისრაელში — მე-10 გვერდზე

ლაშა ბახარიას ხსოვნის საღამო თსუ-ში — მე-11 გვერდზე

ჯეიმს აპატურაი სტუმრად თსუ-ში

7 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალური წარმომადგენელი ჯეიმს აპატურაი ეწვია. ნატოს სპეციალური წარმომადგენელი სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა. საუბარი ნატოს სამომავლო სტრატეგიას, ორგანიზაციის საქმიანობასა და საქართველოსთან თანამშრომლობას შეეხო.

„ამ სტატუსით ჯეიმს აპატურაი საქართველოში პირველად იმყოფება. მოხარული ვარ, რომ ეს ვიზიტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიწყო და სტუდენტების დაინტერესება ასეთი მაღალი აღმოჩნდა. საინტერესო დისკუსია გაიმართა და ვფიქრობ, დამსწრე საზოგადოებამ მეტი ინფორმაცია მიიღო ნატოს შესახებ“, – განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

სტუდენტები ლიბიასა და ავღანეთში განვითარებული მოვლენებით, ნატოში საქართველოს განევრიანების პერსპექტივით და საგარეო პოლიტიკის შეფასებით დაინტერესდნენ.

„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მსგავსი რანგის სტუმარი ეწვია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. ყველა დასმულ კითხვაზე ამომწურავი პასუხები მივიღეთ. ნატოს წარმომადგენელმა სტრატეგიულ კონცეფციაზეც გვიამბო და დეტალური ინფორმაცია მოგვაწოდა სამომავლო თანამშრომლობის შესახებ. მთავარი კი ის გზავნილია, რომელიც ამ შეხვედრის დასასრულს მივიღეთ – ნატო საქართველოს პარტნიორია!“ – აღნიშნა თსუ-ის სტუდენტმა ირაკლი მაისაშვილმა.

სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ნატოს სპეციალური წარმომადგენლის ვიზიტმა საქართველოში ორ დღეს გასტანა და 8 აპრილს დასრულდა.

ინდოეთმცოდნეობის ცენტრი თსუ-ში

ინდოეთის ელჩი საქართველოში ბატონი აჩალ კუმარ მალჰოტრა საქართველოში რამდენიმე თვეა, რაც იმყოფება. სულ ცოტა ხნის წინ გაჩნდა იდეა თსუ-ში ინდოეთმცოდნეობის ცენტრის გახსნის შესახებ, რომელსაც ინდოელი სპეციალისტი უხელმძღვანელებს. ინდოეთის მხარის დახმარებით ეს იდეა თსუ-ში უმოკლეს დროში განხორციელდა.

12 აპრილს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოში ინდოეთის საელჩოს კულტურულ ურთიერთობათა საბჭოს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის თანახმად, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნა ინდოეთმცოდნეობის ცენტრი, რომელსაც 2 წლის განმავლობაში ინდოელი პროფესორი უხელმძღვანელებს. „ცენტრი ინდოეთის კულტურის უკეთ გაცნობასა და გათავისებას შეუწყობს ხელს. დარწმუნებული ვარ, ეს წარმატებული პროექტი იქნება და სტუდენტებს ჩვენ ბევრ საინტერესოს და სასარგებლოს შევთავაზებთ. მემორანდუმის საფუძველზე სტუდენტები უკეთ გაიცნობენ დიდი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანას. იმედი მაქვს, რომ ინტერესი სტუდენტების მხრიდანაც იქნება“, – აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

„მართალია, დიდი მანძილი გვაშორებს ერთმანეთთან, მაგრამ ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავება ინდოელი და ქართველი ხალხის სამომავლო პერსპექტივების განხორციელების მიზნით აუცილებელია. მემორანდუმიც სწორედ ამ ამოცანას ემსახურება. ინდური კულტურა მრავალფეროვანია... თქვენ იცით რაჯ კაპური და ბოლივუდის ნაწარმი, თქვენ გსმენიათ ინდური სამზარეულოს შესახებ და მოგწონთ ჩვენი მელოდიური ჰანგები. გთავაზობთ, უფრო მეტი შეიტყოთ ჩვენს ქვეყანაზე, გაიგოთ, თუ რა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოა ინდოეთში, გვსურს, გახდეთ ჩვენი მრავალფეროვნების გამზიარებელნი. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი შეხვედრა ბევრ საინტერესო წამოწყებას დაუდებს საფუძველს და ჩვენი თანამშრომლობა სრულიად ახალ ფაზაში შევა“, – განაცხადა ინდოეთის ელჩმა საქართველოში აჩალ კუმარ მალჰოტრამ.

თსუ-ის პროფესორთა ლექციები „ენკი-ბენკის“ მაყურებელთათვის

კვირაში სამჯერ ტელეკომპანია „ენკი-ბენკი“-ის ეთერში თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები სკოლის მოსწავლეებისთვის ლექციებს კითხულობენ. ტელე-ლექციები სამშაბათს 15.30 საათზე, ხუთშაბათს 19.30 საათზე და შაბათს 21.00 საათზე გადის. შემეცნებითი პროგრამები ტელეკომპანიის ეთერში თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ეგიდით გადაიცემა და 12-დან 15 წლამდე ასაკის მოსწავლეებზეა გათვლილი. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები პატარებს მათთვის გასაგებ ენაზე აწვდიან საინტერესო და აუცილებელ ინფორმაციას.

,,საბავშვო უნივერსიტეტის” პოპულარობა ყოველდღიურად იზრდება, შესაბამისად იზრდება ლექციებზე დასწრების მსურველთა რაოდენობაც. ინტერესი გამოხატეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებმა მოსწავლეებმაც. ცოტა ხნის წინ საბავშვო ტელეარხმა ,,ენკი-ბენკიმ” თანამშრომლობის ინიციატივით მოგვმართა, რაც საინტერესო აღმოჩნდა ჩვენთვისაც. ფაქტობრივად, სწორედ ამ ტელეკომპანიის დახმარებით შესაძლებელი გახდა, რომ ,,საბავშვო უნივერსიტეტის” ლექციები ხელმისაწვდომი ყოფილიყო ყველასთვის. ტელეკომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმი ითვალისწინებს არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორთა ლექციების ტელევერსიების მომზადებას, არამედ სხვადასხვა საბავშვო შემეცნებითი-სასწავლო პროექტების ერთობლივად განხორციელებას და უნივერსიტეტის სტუდენტების სტაჟირებას ტელეკომპანიის ბაზაზე, ასევე, მათ მონაწილეობას გადაცემების მომზადებაში. საბავშვო ტელეარხთან თანამშრომლობა ძალიან მნიშვნელოვანია ორივე მხარისთვის, რადგან, საბოლოოდ, ჩვენი მიზანი არის მომავალი თაობის აღზრდა, განათლება და ბავშვების ცოდნის თვალსაწიერის გაფართოება. საერთო მიზნიდან გამომდინარე, პროექტის განხორციელების პერიოდი წინასწარ განსაზღვრული არ არის და გაგრძელდება მანამ, სანამ ამისთვის შესაბამისი რესურსი და საჭიროება იარსებებს. ამ შემთხვევაში კი ჩვენი შესაძლებლობები მწირი ნამდვილად არ არის”, — განაცხადა თსუ-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა ნანა მამაგულიშვილმა.

„ჩვენი მიზანია, ბავშვებს იმ საგნების მიმართ გავუღვივოთ ინტერესი, რომლებსაც სკოლაში სწავლობენ. პირველი გადაცემისთვის ლექცია პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა წაიკითხა. გვინდა, მაყურებლები სატელევიზიო ლექციებით დავაინტერესოთ. ამიტომ შევეცდებით ყველა გადაცემა ერთმანეთისგან განსხვავებული და მრავალფეროვანი იყოს. მაგალითად, ვფიქრობთ, გეოგრაფიის ლექცია ბუნებაში გადავიღოთ. ამ საკითხს შემოქმედებითად უნდა მივუდგეთ“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორის მრჩეველმა მარინე ლომოურმა.

ტელეკომპანია „ენკი-ბენკის“ გადამღებმა ჯგუფმა გადაღებები 9 აპრილს დაიწყო. პირველი ტელე-ლექცია საქართველოს ისტორიას მიეძღვნა და იგი პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა წაიკითხა.

„ვისაუბრე საქართველოს წარსულზე, იმ კულტურაზე, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა შექმნეს განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რომ გასაგებად მივაწოდოთ ბავშვებს მასალა. ამაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად სწორად აღიქვამენ ისინი ყველა იმ პროცესს, რაც საუკუნეების მანძილზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა. ეს სწორედ ის ახალგაზრდები არიან, რომლებმაც მომავალში გარკვეული სახის პასუხისმგებლობები უნდა აიღონ ჩვენი ქვეყნის წინაშე, ამიტომ ვფიქრობ, მათთან ერთად დიდი მუშაობა დაგვჭირდება“, — გვითხრა პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა.

სატელევიზიო ლექციების ციკლი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შ.პ.ს. „ივერია ინტერმედიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მზადდება. ხელშეკრულება, ერთობლივი ტელეპროექტების გარდა, თსუ-ის სტუდენტების სტაჟირებასაც ითვალისწინებს. ტელეკომპანია „ენკი-ბენკი“-ში ისინი პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს დაეუფლებიან. ხელშეკრულების მიხედვით, „ენკი-ბენკი“ თსუ-ში გამართულ ღონისძიებებს — კონკურსებს, ფესტივალებს, გამოფენებსა და კონფერენციებსაც გააშუქებს.

მოამზადა: ნატო ოგოლაძემ

ბრძანება № 30/01-01

25.03.2011

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მესამე პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 29 მაისის №490 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 44-ე მუხლის, 45-ე მუხლის, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2008 წლის 28 მაისის №91 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2008 წლის 30 მაისის №13 სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2010 წლის 18 იანვრის №1 დადგენილების, წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 26 მარტის № 24-ე სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სრული, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილება №91-ში ცვლილების შეტანის შესახებ“აკადემიური საბჭოს 2010 წლის 8 ნოემბრის №129-ე დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2010 წლის 9 ნოემბრის №31-ე სხდომის გადაწყვეტილების, „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის საშტატო განრიგისა და სახელფასო ფონდის დამტკიცების შესახებ“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2010 წლის 27 დეკემბრის №293/02-01 ბრძანების, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2011 წლის 21 მარტის №6727/02 წერილის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს კონკურსი სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად;

2. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი ან დოქტორანტურის სტუდენტი;

3. კონკურსი გამოცხადდეს 2011 წლის 25 მარტს, დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 25 აპრილიდან 2011 წლის 10 მაისის ჩათვლით, კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არაუგვიანეს 2 თვის ვადაში;

4. კონკურსი გამოცხადდეს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკის მიმართულების ასისტენტ პროფესორის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად;

5. ასისტენტ პროფესორის თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება თვეში 540 (ხუთასორმოცი) ლარით;

6. ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ასარჩევი კანდიდატი ვალდებულია წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

გ) ავტობიოგრაფია (CV);

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი ან დოქტორანტურაში სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე) სამოტივაციო წერილი;

7. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2011 წლის 25 აპრილიდან 2011 წლის 10 მაისის ჩათვლით, თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. № 8 (VI კორპუსი) ოთახი №202;

8. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „თბილისის უნივერსიტეტი“ და განთავსდეს თსუ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;

9. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მომსახურების ცენტრს;

10. დაევალოს კანცელარიას ბრძანების დაგზავნის ფურცელში მითითებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.

რექტორი: ალექსანდრე კვიტაშვილი

ანონსი

1-2 ივლისს ქართული ენის სწავლების საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია გაიმართება



თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ,,სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის” ორგანიზებით 1-2 ივლისს თსუ-ში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები: პობლემები და გამოწვევები. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება და მოხსენებების წარმოდგენა შეუძლიათ ნებისმიერი უმაღლესი დაწესებულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დარეჯან თვალთვაძის ხელმძღვანელობით იმუშავებს სარედაქციო საბჭო, რომელიც შეარჩევს წარმოდგენილ ნაშრომებს. მოხსენებების წარმოდგენის ბოლო ვადაა 10 მაისი. პასუხი კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ ავტორებს ეცნობებათ არაუგვიანეს 25 მაისისა.

როგორ ვუფრთხილდებით წარსულში ნალოლიავებ ენას?

პირველი გვერდიდან

ყველაფერი ასე დაიწყო: 1977 წელს დამტკიცდა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუცია, რომლის მიზანი იყო საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერების რუსიფიკაციის დაჩქარება. ამ პრინციპიდან გამომდინარე, 1978 წელს შედგა საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი, რომელშიც ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი აღარ ჰქონდა მინიჭებული, ანუ დედა ენა რუსული ენით უნდა ჩანაცვლებულიყო. მაშინ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი და ქომაგი გახდა ქართული ენის სიწმინდის დაცვისა. ამ მხრივ აღსანიშნავია უნივერსიტეტის მაშინდელი სტუდენტების ინიციატივები და გამოსვლები ქართული ენის სტატუსის შესანარჩუნებლად. უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობაც და პროფესურაც ფარულად უჭერდა მხარს სტუდენტური ჯგუფების აქტიურობას. სხვანაირად ვერ ავხსნით იმ ფაქტს, რომ 1978 წლის 6 აპრილს ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა საერთო კრება ჩატარდა, რომელიც კონსტიტუციის იმ მუხლის რედაქტირების საკითხს მიეძღვნა, რომელიც ქართული ენის ბედს წყვეტდა. ამ კრების ოქმის შედგენა დაევალა უნივერსიტეტის იმჟამინდელ მესამეკურსელს, დარეჯან თვალთვაძეს, რომელიც დღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანია. და დღეს, V კორპუსის ფოიეში შეკრებილ საზოგადოებას, „ქართული ენის დღე“ მან სწორედ იმ გადასახედიდან მიულოცა და სტუდენტებს მიმართა:

„33 წელი გავიდა იმ დღიდან, როდესაც ქართველმა ახალგაზრდობამ ქართულ ინტელიგენციასთან და მთელ ქართველ ხალხთან ერთად ქართული ენის სტატუსი დაიცვა. საბჭოეთის ისტორიაში 1978 წლის 14 აპრილი შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ უსისხლო აქციად, რომელიც ხალხმა წამოიწყო... თქვენს მშობლებს კარგად ემახსოვრებათ და, ალბათ, მათგანაც გსმენიათ, რომ სწორედ ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში ხდებოდა ფარული შეხვედრები, გროვდებოდა ხელმოწერები... მაშინ თქვენმა თანატოლებმა უნივერსიტეტის პროფესორებთან, მწერლებთან, ინტელიგენციის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ერთად მოაწყვეს საპროტესტო აქცია, რომელიც 14 აპრილს უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოდან დაიწყო და მთავრობის სასახლის წინ დამთავრდა. ყველა მათგანმა იცოდა, რომ ხიფათი მოსალოდნელი იყო, მაგრამ მას მაინც არავინ შეუშინდა. გავიდა დრო და ჩვენ ამ დღეს საზეიმოდ აღვნიშნავთ, რათა ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ქართულ ენას ზრუნვა და დაცვა სჭირდება. ჩვენ იმ ფაკულტეტის წარმომადგენლები ვართ, სადაც ქართულ ენაზე არა მარტო ვსაუბრობთ და ვასწავლით, არამედ ქართულ ენას ვიკვლევთ, ვამზადებთ კადრებს, რომლებიც სხვებსაც ასწავლიან ქართულს. ამიტომ, ჩვენი მისია განსაკუთრებულია“, — აღნიშნა დარეჯან თვალთვაძემ.

ამ დღესთან დაკავშირებით ისრაელიდან თბილისში საგანგებოდ ჩამოვიდა არიელის უნივერსიტეტის პროფესორი რუბენ ენუქაშვილი, (რეუვენ ენოხი), რომელიც ამ

მოვლენების უშუალო მომსწრე იყო. მან დამსწრე საზოგადოებას აქამდე უცნობი დეტალები გაანდო.

„როგორც იცით, მაშინ მწერალთა კავშირში გაიმართა სხდომა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის პროექტის განხილვას მიეძღვნა. კათედრის სხდომაზე მეც უნდა წარმედგინა მოხსენება აღნიშნული პროექტის შესახებ. როდესაც აღმოვაჩინე, რომ პროექტში არ იყო მითითებული და მასში არაფერი ეწერა იმის შესახებ, რომ საქართველოში ქართული ენა არის განათლების ენა, ძალიან მკაცრად გამოვთქვი ამის შესახებ ჩემი მოსაზრება. მაშინ კათედრის გამგე აკაკი შანიძე იყო. მან საჭიროდ ჩათვალა სასწრაფოდ მომზადებულიყო დადგენილების პროექტი, რომელიც უნდა მიეღო ძველი ქართული ენის კათედრას. ამასთან დაკავშირებით გაიმართა კათედრის სხდომა, სადაც კატეგორიულად მოვითხოვეთ ყველა იმ პუნქტის შეცვლა, რომელიც ქართულ ენას ეხებოდა. ბატონ აკაკის ჩემგან დაცვა არ სჭირდება, მაგრამ ახლა ამ ფაქტზე რატომღაც არ საუბრობენ. შესაძლოა, ეს იმიტომ მოხდა, რომ კათედრის სხდომას გარეშე პირებიც ესწრებოდნენ და გარეთ სხვანაირად გამოიტანეს ამბავი — თითქოს ძველი ქართული ენის კათედრას არავითარი რეაგირება არ მოუხდენია კონსტიტუციის პროექტთან დაკავშირებით. პირადად გავხდი მოწმე აკაკი შანიძესა და არნოლდ ჩიქობავას შორის სატელეფონო საუბრისა, როდესაც მათ ერთობლივად გადაწყვიტეს, რომ საქართველოს მაშინდელ ხელმძღვანელს ედუარდ შევარდნაძეს შეხვედროდნენ და ამ პრობლემის თაობაზე ესაუბრათ. სხვათა შორის, ბატონმა აკაკიმ საშვი ჩემთვისაც მოითხოვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავად გავხდი და შეხვედრაზე ვეღარ წავედი. ვიცი, რომ მათ შორის საუბარი შედგა და ედუარდ შევარდნაძე აკაკი შანიძეს და არნოლდ ჩიქობავას შეჰპირდა, რომ დაფიქრდებოდა და სათანადო გადაწყვეტილებას მიიღებდა. შემდეგ კი განვითარებული მოვლენების კვალზე ახალგაზრდების წინამძღოლები სწორედ ჩვენი სახელოვანი მეცნიერები გახლდნენ. ჩემი გამოსვლა მათ ხსოვნას მინდა მივუძღვნა“, — განაცხადა რუბენ ენუქაშვილმა.

დარეჯან თვალთვაძემ ქართული ენის დღისადმი გამოცხადებულ ლიტერატურულ კონკურსში — „ჩვენი ენა ქართული“ გამარჯვებულები: გიორგი ლიქოკელი (I ადგილი), ლევან ღირსიაშვილი (II ადგილი) და ვერა ხელაია (III ადგილი) თსუ-ის გამომცემლობის მიერ გამოცემული წიგნებით დააჯილდოვა.

V კორპუსის ფოიეში მოეწყო გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების მიმართულების სტუდენტებმა. სამახსოვრო საჩუქრები მიიღო სახვითი ხელოვნებისა და დიზაინის მიმართულების სტუდენტმა დავით სილაგაძემ, რომელმაც ქართული ენის ინსტიტუტის ლოგოსთვის გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა. ქართული ენის დღის აღსანიშნავად მოეწყო გამოფენა მხატვარ ოთარ ჯიშკარიანის ცნობილი ციკლისა — „ანბანთქება“.

ქართული ენის დღეს მიეძღვნა სამეცნიერო კონფერენცია, სადაც თსუ-ის პროფესორებმა სხვადასხვა თემატიკაზე შექმნილი მოხსენებები წარმოადგინეს.

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის მოხსენებამ — „ქართული ენა საქართველოს პირველ კონსტიტუციაში და მისი გავლენა ბოლშევიკურ კონსტიტუციაზე“, სადაც მეცნიერმა რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალზე გაამახვილა ყურადღება და დღევანდელ პრობლემებსაც შეეხო.

პროფესორმა დამსწრე საზოგადოებას ისტორიული წარსული შეახსენა და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ქართული ენის სახელმწიფოებრივი ფუნქცია არ მოშლილა და არ შეზღუდულა მაშინაც კი, როდესაც საუკუნეების მანძილზე ჩვენი ქვეყანა გარეშე მტრების ძლიერ პოლიტიკურ ზეგავლენას განიცდიდა. თუნდაც, XIX საუკუნემდე ქართული ენა რჩებოდა საქართველოს ოფიციალურ ენად საზოგადოებრივ-პოლიტიკური, რელიგიური და ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

გიორგი გოგოლაშვილმა ვრცლად ისაუბრა XIX საუკუნის 60-იანი წლების ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაზე და მათ ბრძოლაზე ქართული ენის დასაცავად. „ილიამ მაშინ წამოაყენა მთავარი თეზისი: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? — ეს ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ (1918 წლის 26 მაისს) დასრულდა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ენად ქართული გამოცხადდა. 1918 წელს ქართული უნივერსიტეტის გახსნამ ქართული ენა სამეცნიერო ენად აქცია. 1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონსტიტუცია მიიღეს, სადაც ქართული სახელმწიფოებრიობის ისტორიაში გაჩნდა პირველი საკონსტიტუციო ჩანაწერი სახელმწიფო ენის შესახებ. კონსტიტუციის I თავის მე-3-ე მუხლში ეწერა: „საქართველოს სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“. მომდევნო კონსტიტუციებშიც ნათლად იყო ჩაწერილი, რომ ქართული ენა სახელმწიფო ენა იყო. 1978 წელს კი გამოქვეყნდა ახალი კონსტიტუციის პროექტი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 57-ე წელს კომუნისტური ხელისუფლება პირველად შეეცადა გაეუქმებინა ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. ქართული საზოგადოება ბრძოლისთვის მზად აღმოჩნდა და ამ შემოთავაზებას მკვეთრად დაუპირისპირდა. მათმა ძალისხმევამ შედეგი გამოიღო, 75-ე მუხლი შეიცვალა და კონსტიტუციაში ჩაიწერა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“, — აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა.

პროფესორმა გულისტკივილით ისაუბრა დღევანდელ პრობლემებზე და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ დიდი ძალისხმევაა საჭირო სახელმწიფოს მხრიდან. „მართალია, ქართული ენა კონსტიტუციურად სახელმწიფო ენად რჩება, თუმცა მისი კონსტიტუციური სტატუსის განხორციელებას მრავალი პრობლემა ექმნება დღევანდელ საქართველოში. არის რეგიონები — აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, ჯავახეთი, ქვემო ქართლის დიდი ნაწილი, სადაც ქართული, როგორც სახელმწიფო ენა, ფაქტობრივად, ვერ ფუნქციონირებს.

პრობლემას ქმნის ისიც, რომ 1995 წელს შექმნილი ქართული ენის კომისია 2004 წლიდან აღარ ფუნქციონირებს. აღსანიშნავია, რომ 1997 წელს შეიქმნა სახელმწიფო ენის პალატა, რომელიც უნდა ყოფილიყო სახელმწიფო ენის „აღმასრულებელი სამსახური“. 2004 წელს სახელმწიფო ენის პალატა, სამწუხაროდ, დაიხურა. 1995 წელს პარლამენტში შეიქმნა ქართული ენის ქვეკომიტეტი. არსებობდა სერიოზული დასაბუთება ამგვარი ქვეკომიტეტის არსებობის აუცილებლობისა. ბოლო ორი მოწვევის პარლამენტში ეს ქვეკომიტეტიც აღარ ფუნქციონირებს — ყოველივე ეს ერთ ფაქტზე მიანიშნებს: მხოლოდ კონსტიტუციის მე-8 მუხლის არსებობა ენის პრობლემას ვერ მოაგვარებს. საჭიროა აღდგეს სახელმწიფო ენის კომისია, რომელიც შეიმუშავებს სახელმწიფო ენობრივ პოლიტიკას, რომლის წყალობითაც სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ენებს სათანადო ყურადღება არ მოაკლდება“, — განაცხადა გიორგი გოგოლაშვილმა.

სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს პროფესორებმა: ვახტანგ იმნაიშვილმა („რიგითობითი რიცხვითი სახელების მართლწერის ერთი კერძო შემთხვევის შესახებ“), რუსუდან ზექალაშვილმა („სამედიცინო ტერმინთა წარმოების ზოგიერთი საკითხი“), სალომე ომიაძემ („ჟურნალისტურ სათაურთა პრაგმატიკა“), ინგა სანიკიძემ („მგლის“ მხატვრული სახის გააზრება ვაჟა-ფშაველას ენაში“), ქეთევან გოჩიტაშვილმა („ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები“) და სხვ.

ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებების ციკლი შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობის 2010 წლის პროდუქციის პრეზენტაციით დასრულდა, სადაც წარმოდგენილი წიგნების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

მოამზადა:
შურთხია გეროშვილმა

რა შემთხვევაში დავკარგავთ ენას ურუსეთოდაც

1978 წლის აპრილის მოვლენები იმდენად დაილექა თანამედროვეთა მეხსიერებაში, რომ მათ დღემდე აქვთ ქართული ენის გამოქომაგების ინსტიქტები „გაღვიძებული“. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ადამიანებს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით ქართული ენისა და ლიტერატურის „წვრთნის“ პროცესში. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე თამაზ კვაჭანტირაძე, რომელიც 1978 წლის დემონსტრაციების უშუალო მონაწილე იყო, მიიჩნევს, რომ ქართულ ენას საფრთხე ჯერაც ელის, რადგან საქართველოში ბილინგვიზმის დამკვიდრების მოსურნეებს დღემდე აქვთ გავლენა სახელმწიფო პოლიტიკაზე. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არავინ ფიქრობს იმ სტრუქტურების აღდგენაზე, რომელიც ქართული ენის დაცვის საკითხებს განაგებდა — სწორედ ამ პრობლემებს ეხმიანება ჩვენი რესპონდენტი თამაზ კვაჭანტირაძე, რომელიც წარსულის გაცოცხლებით ცდილობს დედა ენისთვის ზრუნვის შეხსენებას.

შვილიშვილისთვის დამიზნებული ტყვია

„14 აპრილი დიდი დღე იყო. მის სასიკეთოდ დასრულებაში მთელი საქართველო მონაწილეობდა, თუმცა ტვირთი ერთნაირად გადანაწილებული როდი იყო. სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნებისთვის ბრძოლაში სრულიად განსაკუთრებული იყო ახალგაზრდობის როლი, მათგან სრულიად საქართველოს სტუდენტების როლი და, მათ შორის, ქართული უნივერსიტეტისა და მისი სტუდენტობის როლი. ამ ბრძოლას სტიქიური ლტოლვა, ფორმა და ერთგვარი დინება სწორედ უნივერსიტეტელმა სტუდენტებმა მიანიჭეს. მათთან ერთად საშუალო სკოლების უფროსი კლასის მოსწავლეებიც იყვნენ აღტკინებულნი იმ იდეით, რომ ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი შენარჩუნებოდა. თავად ვიყავი ამის მოწმე და მაგონდება ასეთი ეპიზოდი: მიმდინარეობდა სესია და, როგორც ყოველთვის, ელოდებოდნენ ზარს მოსკოვიდან... ასეთ საკითხებს საქართველოში დამოუკიდებლად ვერავინ წყვეტდა, თვით რესპუბლიკის ხელმძღვანელიც კი... სამხედრო ტექნიკა ე.წ. მინისტრთა საბჭოსთან (სადაც დღევანდელი პარლამენტია) უკვე მობილიზებული იყო... არ ვიცოდით, რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ქართველთა ბობოქარი, მართლაც რომ გულიდან წამოსული პროტესტი... 1956 წელს, რუსთაველზე, კავშირგაბმულობის სახლის წინ ბევრად უფრო ნაკლები ხალხი იყო თავმოყრილი, როდესაც მშვიდობიანი დემონსტრანტები ავტომატების ჯერით ჩაცხრილეს. მაშინ იგივე იყო ხელისუფლებაც და მეთოდებიც... ასე რომ, არავინ გამორიცხავდა, რომ მსგავსი უკუღმართობა, შეიძლებოდა, კვლავ განმეორებულიყო, მაგრამ ხალხი მაინც მტკიცედ და ფეხმოუცვლელად იდგა. ვდგავარ მეცI სკოლის წინ, ჩემი ოჯახის წევრებთან ერთად... ჩემი სტუდენტებიც იქვე არიან (მაშინ ახალგაზრდა ლექტორი გახლდით). იქაურობა ხალხით იყო გადაჭედილი. ვხედავ, პირველი სკოლელები გარეთ გამოვიდნენ და ერთმა ჩაფსკვნილმა ბიჭმა, უცებ, მკერდი გადაიხსნა და ზედ გულზე „აი-ია“ ეწერა — ეს იმდენად შთამბეჭდავი იყო, რომ ყველას გაგვაჟრიალა. მის გვერდით შევნიშნე ჩემი ნათლული — ლევან გორდეზიანი, რომელიც გამოვიხმე და ვკითხე — ვინ იყო ეს ბიჭი? და იცით რა მიპასუხა? ინაურის შვილიშვილიაო... ალექსი ინაური მაშინ საქართველოს უშიშროების ხელმძღვანელი იყო და, თქვენ წარმოიდგინეთ, მისი შვილიშვილიც იდგა იქ — „აი-ია“ ეწერა გულზე და მზად იყო, ტყვიისთვის მიეშვირა მკერდი. და ის უკუღმართი სისტემა, ხელისუფლება ბაბუამისს, რომელიც შინაგანად ადამიანი იყო, ქართველი იყო, ტყვიას ქართული ენის დამცველი შვილიშვილისთვის ასროლინებდა, რომ არ მიეღოთ ოდნავ ნორმალური გადაწყვეტილება ცეკაში. ეს მაგალითი იმიტომ მომყავს, რომ უკეთ წარმოიდგინოთ, თუ როგორი საყოველთაო განწყობილება სუფევდა ქართული ენის „მცველთა რიგებში“.

ანგარიშგების დღე

დაახლოებით 4 წლის შემდეგ, არნოლდ ჩიქობავამ ჩემი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“ დასაბეჭდად სტატია შემოგვთავაზა და მაშინ ამ სტატიაში პირველად გაატარა ასეთი აზრი: რადგან ქართული მწერლობის ბურჯებს თავისი დღეები აქვთ, უპრიანი იქნება, თუ იმ ენის დღესაც დავაარსებთ, რომელ ენაზე წერითაც მათ დაიმკვიდრეს ადგილი ქართულ ლიტერატურაშიო, ანუ ქართული ენის დღე დავაარსოთო. ოღონდ, არნოლდ ჩიქობავამ, რომელიც ფხიზელი ანალიტიკოსი იყო, იცოდა ჩვენი ხასიათის სისუსტე, რომ ჩვენ გვიყვარს პომპეზურობა, საკუთარი თავის გამოჩენა და, ზოგჯერ, საქმე განზე გვრჩება. მან იგრძნო ის საფრთხე, რომ ეს დღე შეიძლებოდა დოლ-გარმონისა და ტაშ-ფანდურის დღედ ქცეულიყო. ამიტომ ამბობს: „14 აპრილი უნდა იყოს ანგარიშგების დღე — რომელმა გამომცემლობამ რამდენი კლასიკური ქართული ლიტერატურის ძეგლი დაბეჭდა;

მე-9 გვერდზე

ვინ ჩადებს ინვესტიციას მზის ბატარეების წარმოებაში

ერთი წუთი დავხუჭოთ თვალი და წარმოვიდგინოთ, რომ თითოეული ჩვენგანი ვფლობთ ავტონომიურ ელექტროენერგიას პატარა, მსუბუქი მზის ბატარეის სახით და ეს ბატარეა არა იაპონიასა და გერმანიაში, არამედ საქართველოში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა. სკეპტიკოსმა შესაძლოა ირონიულად გაიღიმოს, მაგრამ ამ „ოცნების“ რეალობას ისიც კი ადვილად დაიჯერებს, თუ ვეტყვით, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრო და ნანოელექტრონიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-საწარმოო კომპლექს „ელექტრონულ ტექნიკაში“ ამგვარი ტექნოლოგიური ნოუ-ჰაუს — მზის ბატარეების კომერციალიზაციას მალე დაიწყებენ. აქვე მზადდება კიდევ ორი პროექტი, რომელთა განხორციელებაც ინვესტორთა მოზიდვაზეა დამოკიდებული.

მაია ტორაძე

ბუნებრივია, დაისმება კითხვა — რატომაა ეს ტექნოლოგია მნიშვნელოვანი, თუკი უკვე დანერგილია მზის ბატარეები და მზის ენერგიაც უკვე წარმატებით გამოიყენება ალტერნატიული ენერგიის წყაროდ? როგორც ამ ბატარეის შემქმნელებმა აგვიხსნეს, აქამდე არსებული მზის ბატარეები დამზადებულია სილიციუმის მასალაზე, ხოლო ქართველი მეცნიერების მიერ შექმნილი მზის ბატარეა დამზადებულია A^3B^5-ის მასალაზე სხივის კონცენტრატორის გამოყენებით. ის ძალიან მცირე მოცულობისაა, მსუბუქია და მისი ერთი მოდული თავისუფლად შეუძლია გამოიყენოს ერთმა ადამიანმა ავტონომიური ელეტროენერგიის მიღებისათვის. ეს მზის ბატარეა შეიძლება განთავსდეს სახლებზეც და მისგან შეიძლება გაკეთდეს ელექტროსადგურიც.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიკრო და ნანოელექტრონიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსის — „ელექტრონული ტექნიკის“ ხელმძღვანელმა, მეცნიერებათა დოქტორმა ნინა ხუჭუამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ მზის ბატარეის წარმოებისთვის თითქმის ყველაფერი მზადაა: გაკეთებულია შესაბამისი კვლევები და შექმნილია პროდუქციის ლაბორატორიული ნიმუში. საჭიროა მხოლოდ ნახევარი წელი, რის შემდეგაც ყველა ნახაზი, გამოთვლა და ტექნოლოგია მზად იქნება ბატარეების ქარხნული წესით დამზადებისათვის. „ეს არ არის ქაღალდზე არსებული იდეა, ეს უკვე განხორციელებული იდეაა, რომელსაც ახლა ინვესტორი სჭირდება. ამისკენაც გადავდგით პირველი ნაბიჯი — უნივერსიტეტის რექტორი, ბატონი ალექსანდრე კვიტაშვილი ჩვენს საწარმოში ვიზიტის შემდეგ დაგვპირდა, რომ დაგვეხმარებოდა. და, აი, სულ ცოტა ხნის წინ გამოგვიგზავნა კომპეტენტური სპეციალისტი, რომელიც ამ პროექტის გაფორმებასა და ბიზნეს-გეგმის შედგენაში გვეხმარება. დღეს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინვესტორების მისაღებად უკვე მზად ვართ. მზის ბატარეების კომერციულ პროექტს უკვე გაეცნენ რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის წარმომადგენლები, ანუ ის ადამიანები, რომლებიც ამით შეიძლება დაინტერესდნენ და მზის ბატარეების წარმოებაში ინვესტიცია ჩადონ“, — განაცხადა ნინა ხუჭუამ.

მეორე პროექტი, რომელიც მომავალში აუცილებლად გახდება ინტერესის საგანი, არის ე.წ. უსაფრთხოების სენსორების შექმნა ზემაღალი სიხშირის დიაპაზონში. მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სფეროში: მშენებლობაში, ოფისებში, აეროპორტებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვადასხვა ადგილებში, სადაც აუცილებელია ადამიანთა უსაფრთხოების დაცვა. აქამდე არსებული და აპრობირებული მეტალოდეტექტორები შეზღუდული შესაძლებლობების მატარებელია, უნივერსიტეტში დამზადებული სენსორები კი არ იქნება ჯანმრთელობისთვის სახიფათო და მას შეეძლება საეჭვო ნივთის აღმოჩენა ნებისმიერ ადგილას, მათ შორის, მიწაშიც. „ეს სენსორები თანამედროვე ტექნოლოგიური პრინციპებით შეიქმნა და მას კვლევა სჭირდება. ჯერჯერობით არც ერთი მონაცემი და ციფრი არ გაგვაჩნია, მაგრამ იდეის განხორციელება სრულიად შესაძლებელია. ამასაც ინვესტორი სჭირდება“, — გვითხრა ქალბატონმა ნინამ.

სამეცნიერო-საწარმოო კომპლექსი „ელექტრონული ტექნიკა“, ძირითადად, ყოფილი სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მიონის“ სპეციალისტებისა და მეცნიერ-მუშაკებისაგან არის დაკომპლექტებული. ეს გაერთიანება წლების წინ თბილისში ყველასთვის ცნობილი იყო, მაგრამ ცოტამ თუ იცოდა, რას აკეთებდნენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის სისტემაში არსებული გასაიდუმლოებული ორგანიზაციის თანამშრომლები. მას შემდეგ, რაც „მიონი“ დაიშალა და მისი განყოფილებებიც დაიქსაქსა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხვდა მაღალი დონის სპეციალისტთა ერთი ჯგუფი, რომლებმაც მოახერხეს და აქ შექმნეს თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი და საქართველოში ერთადერთი სრულყოფილი ლაბორატორია, რომელიც, ძირითადად, მიკროელექტრონიკის მიმართულებით მუშაობს.

„ჩვენ აქ მოვაწყვეთ თანამედროვე სამუშაო გარემო. პირველ რიგში ავაშენეთ ე.წ. ტექნოლოგიური ხაზი — „სუფთა ოთახები“, რომელიც ჩვენი სპეციფიკისთვის აუცილებელია. ლაბორატორია შევავსეთ ახალი აპარატურით და დღემდე მხოლოდ საერთაშორისო გრანტების განხორციელებაზე ვმუშაობდით. მართალია, შეგვეცვალა სამუშაო ადგილი და ჩვენს ტრადიციულ სამუშაო თემატიკას სხვა, თანამედროვე სამეცნიერო თემატიკაც დაემატა, მაგრამ უცვლელი დარჩა კვლევებისადმი ჩვენი მიდგომა. ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ ისეთი რამ, რისი გამოყენება და დანერგვაც სხვადასხვა სფეროში შეიძლება. ამავე დროს, ნებისმიერი სამეცნიერო იდეის განხორციელებისას ვგეგმავთ, როგორ შეიძლება ჩვენი პროდუქციის კომერციალიზაცია“, — განაცხადა ნინა ხუჭუამ.

საქმისადმი პრაგმატული მიდგომისა და აღებული ვალდებულების მეცნიერული პასუხისმგებლობით შესრულების გამო ეს კოლექტივი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის ბევრ ქვეყანაშია ცნობილი. მათ ენდობიან და ისეთი სამუშაოს შესრულებას უკვეთავენ, რომელიც შესრულების მაღალ ხარისხსა და იუველირის სიზუსტეს მოითხოვს.

ლაბორატორია რამდენიმე წელია მჭიდროდ თანამშრომლობს გერმანულ ფირმასთან “Infineon Technologies”, რომელმაც ნატო-ს საერთაშორისო პროექტის ფარგლებში უამრავი ტექნოლოგიური და გამზომი ტექნიკა გადასცა ქართველ კოლეგებს. „ეს არ არის მოძველებული ტექნიკა. უბრალოდ, ჩვენ ვხმარობთ პატარა დიამეტრის ნახევარგამტარულ საფენებს, ისინი კი გადავიდნენ უფრო დიდი დიამეტრის ნახევარგამტარულ საფენებზე და ყველაფერი, რაც კარგი და ჩვენთვის სასარგებლო იყო, 6 საბარგო ავტომანქანით ჩამოიტანეს გერმანიიდან. ამ აპარატურას ჩამოჰყვა სპეციალისტთა ჯგუფი, რომლებმაც ეს ყველაფერი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლაბორატორიაში დააინსტალირეს. შეიცვალა ძირითადი კვანძები და ბლოკები, რამაც ლაბორატორიის აღჭურვილობა საკმაოდ თანამედროვე გახადა“, — აღნიშნა ნინა ხუჭუამ.

ლაბორატორია დღეისათვის მიკროელექტრონიკის მიმართულებით მუშაობს. მისი თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ თუ ზემოთ აღწერილი ორი პროექტი დაფინანსდება, შემდეგი წლებისთვის უკვე არსებობს საკმაოდ ამბიციური გეგმა, რომლითაც ისინი მსოფლიო ბაზარზე გასვლას აპირებენ. მათი აზრით, ლაბორატორია მზადაა გადაინაცვლოს ნანოტექნოლოგიებში.

ქალბატონი ნინას თქმით, აქამდე მათ განახორციელეს 6 საერთაშორისო პროექტი, რომელიც, საერთო ჯამში, 1 600 000 დოლარის ღირებულებისა იყო. 2006 წელს გერმანიის ფრაუჰოფერის საზოგადოების მყარსხეულოვანი გამოყენებითი ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტიდან მიიღეს 2 შეკვეთა, რომლის ფარგლებშიც ამზადებდნენ ნახევარგამტარულ გულს რენტგენული სენსორებისთვის და ზემაღალი სიხშირის სენსორებს დაუზიანებადი დიაგნოსტიკისთვის. შესრულებული სამუშაოსთვის გერმანელებმა 360 000 დოლარი გადაიხადეს.

ეს იყო ერთგგვარი მიკროკომერციალიზაცია, რომლიდან აღებული თანხითაც შეიძინეს სხვადასხვა აპარატურა, რაც დღეს საშუალებას აძლევთ ნანოტექნოლოგიებში გადაინაცვლონ.

„ეს გაცილებით შორი პერსპექტივაა და შეეხება ნანოელექტრონიკას, რომელზე მუშაობასაც მხოლოდ ახლა ვიწყებთ. ნანოტექნოლოგიაში შედის უამრავი რამ, მაგრამ ჩვენ გავაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც ჩვენს აპარატურაზეა შესაძლებელი. ეს გახლავთ ნახევრადგამტარებში ნანოწერტილების, ან ნანომასალების შექმნა (ნანო ნიშნავს ყველაფერს, რაც 0,2 მიკრონზე პატარა ზომისაა. შედარებისთვის, ჩვენი თმის საშუალო ზომა არის 40 მიკრონი. ნანო ზომა კი მასზე თითქმის 1000- ჯერ ნაკლებია). ამგვარი ტექნოლოგიის გამოყენება შესაძლებელია ფოტომიმღებებსა და ფოტოდეტექტორებში. ეს არის შრომატევადი საქმე და საკმაოდ ამბიციური პროექტი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ შევძლებთ ამის გაკეთებას“, — გვითხრა ქალბატონმა ნინამ.

თანამედროვე ტექნოლოგიები ის სფეროა, რომელზეც საქართველოს მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს. სამთავრობო სხდომებსა და საუნივერსიტეტო შეხვედრებზე საქართველოს პრეზიდენტმაც არა ერთხელ აღნიშნა, რომ ჩვენი ქვეყანა სასარგებლო წიაღისეულით მდიდარი არ არის, მაგრამ მდიდარია ინტელექტუალებითა და ნიჭიერი ადამიანებით, რომელთაც შეუძლიათ ამ პატარა ქვეყნისთვის დიდი საერთაშორისო რეზონანსის მოტანა. ერთ-ერთი გზა, რომლითაც შესაძლოა საქართველომ მართლაც ღირსეული ადგილი მოიპოვოს მაღალტექნოლოგიური განვითარების ქვეყნებს შორის, სწორედ ნანოტექნოლოგიები და მიკროელექტრონიკაა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილი ეს სიახლეები კი არა მხოლოდ მეცნიერების კომერციალიზაციის, არამედ საერთაშორისო ტექნოლოგიური კომერციალიზაციის კარგი მაგალითი იქნება. მთავარია ინვესტორი დავარწმუნოთ, რომ სამეცნიერო-საწარმოო კომპლექს „ელექტრონული ტექნიკის“ მიერ შემუშავებული მეცნიერული იდეები ხვალ მომგებიანი პროდუქცია იქნება არა მხოლოდ ინვესტორის, არამედ მთელი საქართველოსათვის.

სემინარი ყურძნისა და ყურძნისეული პროდუქტების კვლევაში

წელს გაეროს განათლების, მეცნიერების და კულტურის ორგანიზაცია (UNESCO) ქიმიის საერთაშორისო წელს აღნიშნავს. ამ მოვლენას 1 აპრილს გამოეხმაურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული სემინარი, რომელზეც ისაუბრეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების როლზე ყურძნისა და ყურძნისეული პროდუქტების კვლევაში.

სემინარი წარმართა შპს „ღვინის ლაბორატორიის“ ხარისხის სამსახურის უფროსმა, ქიმიის დოქტორმა ნინო მანველიძემ. მან სტუდენტებსა და დაინტერესებულ მეცნიერებს გააცნო ფიზიკურ-ქიმიური კვლევის მეთოდები ყურძნის და ყურძნისეული პროდუქტების კვლევაში, წარმოადგინა შპს „ღვინის ლაბორატორია“, მისი აღჭურვილობა, აპარატურა და პოტენციური შესაძლებლობები.

შპს „ღვინის ლაბორატორია“ დაფუძნდა 2006 წლის აპრილში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მეღვინეობის კერძო სექტორისა და „საქართველოში ღვინის ხარისხის სისტემის ჩამოყალიბების და განვითარების ხელშემწყობი ფონდის“ ერთობლივი ძალისხმევით. ლაბორატორიას მატერიალური და ფინანსური დახმარება გაუწია გერმანიის საერთაშორისო საზოგადოებამ (GIZ). ლაბორატორია შესულია აღიარებული ორგანიზაციებისა და ლაბორატორიების ევროკავშირის ნუსხაში.

შპს „ღვინის ლაბორატორია“ აღჭურვილია თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ფლობს სპეციალურ სათავსოებს, რითაც უზრუნველყოფილია ნიმუშებისა და ქიმიური რეაქტივების შენახვის პირობები.

როგორც ქალბატონმა ნინო მანველიძემ აღნიშნა, აქვე ფუნქციონირებს „ხარისხის სისტემა“, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდების (ცდების) შედეგების ობიექტურობასა და უტყუარობას. შექმნილია მაქსიმალურად დაცული, კონფიდენციალური, უნივერსალური მონაცემთა ბაზის სისტემა (LIMS), სადაც გათვალისწინებულია ყველა ნიუანსი, დაწყებული ნიმუშის მიღებიდან, დასრულებული ანალიზის პასუხებით.

ლაბორატორია მოიცავს ყურძნისა და ყურძნისეული პროდუქტის ფიზიკო-ქიმიური და მიკრობიოლოგიური კვლევისა და დეგუსტაციის სფეროებს, ასევე, ასრულებს სხვადასხვა ტიპის სამუშაოებს. კერძოდ: ყურძნის წვენის, ცქრიალა ღვინოების, არყების, ლიქიორების, რექტიფიცირებული ეთილის სპირიტის, ბრენდების ქიმიურ და მიკრობიოლოგიურ ანალიზებს; საზღვრავს დამატებით მახასიათებლებს (პესტიციდები, სხვადასხვა ტოქსიკური ნივთიერება, მოკრობიოლოგიური კონტროლი, მიკროსკოპული კვლევა), რასაც კონკრეტული დამკვეთის მოთხოვნა ითვალისწინებს; იგი ასრულებს სახელმწიფო დაკვეთებს სურსათისა და ალკოჰოლური სასმელების უვნებლობის კუთხით; მუშაობს სადეგუსტაციო კომისიასთან და პროფესიულ დახმარებას უწევს მეღვინეობის დარგს (ღვინის დამუშავება, ღვინის დაავადებების გამოსწორება და სხვ.); ლაბორატორია აწარმოებს სამეცნიერო საქმიანობასაც, რაც გამოიხატება ახალი მეთოდების დანერგვაში, საქართველოში გავრცელებული ვაზის ჯიშებისა და მათგან ნაწარმოები ღვინოების მონაცემთა ბაზების შედგენასა და ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებაში, სისტემატიურად მონაწილეობს საერთაშორისო წლიურ გამოცდებში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების სფეროში.

როგორც თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსმა თანამშრომელმა, ქიმიის დოქტორმა ხათუნა კახიანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და შპს „ღვინის ლაბორატორიას“ შორის უკვე გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს ამ ლაბორატორიასთან მჭიდრო კავშირის დამყარებას. აქ სტუდენტებს შეეძლებათ გაიარონ პრაქტიკა და დაეუფლონ ყველა იმ ტექნოლოგიური ანალიზის სპეციფიკას, რომლის ჩატარების საშუალებასაც ეს ლაბორატორია იძლევა.

სემინარზე სტუდენტები დაინტერესდნენ ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით და კონკრეტული დანიშნულების ლაბორატორიული ანალიზების ჩატარების შესაძლებლობებით. შპს „ღვინის ლაბორატორიის“ ხარისხის სამსახურის უფროსმა ყველა დაინტერესებული სტუდენტი და მეცნიერი, ვისაც კონკრეტული სამეცნიერო კვლევის განხორციელება სურს, ლაბორატორიაში სათანამშრომლოდ მიიწვია.

ხათუნა კახიანი და ნინო მანველიძე

ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიატები

ნატო ოგოლაძე

წელს პროფესორ ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიატები ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის ფუნდამენტური ფიზიკის II სემესტრის მაგისტრანტები გიორგი მილოშევიჩი და ზარა ბაღდასარიანი გახდნენ. ესტატე ხმალაძე ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის პროფესორი და ახალი ზელანდიის სამეფო საზოგადოების წევრი გახლავთ. მისი სახელობის სტიპენდიატების შესარჩევმა კომისიამ ისინი აკადემიური მოსწრების მიხედვით გამოარჩია. ორივე მაგისტრანტს სტიპენდიები (1000 დოლარის ექვივალენტი ლარებში) საზეიმო ვითარებაში 8 აპრილს გადაეცათ. როგორც წესი, პროფესორ ესტატე ხმალაძის **სტიპენდიატი წელიწადში** ერთი სტუდენტი ხდება, თუმცა წელს გამონაკლისი დაუშვეს, რადგან გიორგი მილოშევიჩსა **და ზარა ბაღდასარიანს ერთნაირად** საუკეთესო აკადემიური მოსწრება ჰქონდათ. მეორე სტიპენდიის დონორი ესტატე ხმალაძის **დოქტორანტი ნინო ტორონჯაძე** გახლავთ. ნინო ტორონჯაძე ამჟამად ასოცირებული პროფესორია და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში კანცლერის თანამდებობაზე მუშაობს.

ზარა ბაღდასარიანი და გიორგი მილოშევიჩი თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ყველაზე წარჩინებული სტუდენტები არიან. ისინი მონაწილეობდნენ არა ერთ სამეცნიერო კონფერენციაში. მათ სასწავლო კურსები გაიარეს უცხოეთის საზაფხულო სკოლებშიც.

ესტატე ხმალაძის 2011 წლის სტიპენდიატების ინტერესის სფერო მხოლოდ მათემატიკითა და ფიზიკით არ შემოიფარგლება. ზარა ბაღდასარიანი სწავლის პარალელურად ქართული ხალხური, ლათინური და არგენტინული ცეკვებით არის დაკავებული, გიორგი მილოშევიჩი კი გიტარაზე უკრავს. ორივე ახალგაზრდა მიიჩნევს, რომ ადამიანი აუცილებლად კარგად უნდა ერკვეოდეს საკუთარ სპეციალობაში, თუმცა ზოგადი განათლებაც უნდა ჰქონდეს და, შესაბამისად, მისი ინტერესების სფეროც ფართო უნდა იყოს.

ზარა ბაღდასარიანი გასულ წელს ორი თვით იმყოფებოდა გერმანიის იულიხის ბირთვული ინსტიტუტის კვლევით ცენტრში და, ასევე, მონაწილეობდა ბადჰონეფში ჰადრონული ფიზიკის სკოლის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში. 2009 წელს მან ბერლინში DESY-ის საზაფხულო სკოლაში მაღალი ენერგიების ფიზიკაში ლექციების კურსი გაირა და, ასევე, მონაწილეობდა ჩერენკოვის ტელესკოპების მასივის დიზაინის შესწავლის პროცესშიც. ზარა ბაღდასარიანმა გასულ წელს თსუ-ის სტუდენტურ კონფერენციაზე თემით „ჩერენკოვის ტელესკოპების მასივისთვის (CTA)12-მეტრიანი ტელესკოპის გეომეტრიის შესწავლა“ პირველი ადგილი მოიპოვა. 2010 წლის სექტემბერში კი ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტში იაპონიის მაღალი ენერგიების ფიზიკის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო ჯგუფთან შეხვედრაშიც მიიღო მონაწილეობა.

„ESTATE KHMALADZE SCHOLARSHIP IS A GREAT HONOUR FOR ME. IT IS ALSO A SIGNIFICANT MOTIVATION FOR MY ACADEMIC CAREER. SO, IT IS VERY IMPORTANT TO ME“, — აღნიშნა ზარა ბაღდასარიანმა.

გიორგი მილოშევიჩი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში ჯერ კიდევ მეთერთმეტეკლასიდანჩაერთო. პროფესორ გია დვალის დაფინანსებით იგი აზიის ქვეყნების ფიზიკის ოლიმპიადაზე იმყოფებოდა, საიდანაც ვერცხლის მედლით დაბრუნდა. 2008 წელს კი თსუ-ის 68-ე სამეცნიერო კონფერენციაზე ნაშრომით „სტოქასტიური რეზონანსი ფერმი-პასტა-ულამის ჯაჭვში“ (არაწრფივი ფიზიკა) მეორე ადგილი დაიკავა, თუმცა მისი მოხსენება ჟურნალ PRL-ში დაიბეჭდა. ამჟამად პროფესორ ესტატე ხმალაძის სტიპენდიატი საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის გრანტშია ჩართული, პროფესორ ნანა შათაშვილის ხელმძღვანელობით იგი მუშაობს მზის კორონის ანომალური გათბობის პრობლემაზე როგორც ანალიზური, ასევე, კომპიუტერული მოდელირების გამოყენებით. გიორგი მილოშევიჩი მომავალში ასტროფიზიკის და ლაბორატორიული პლაზმის (კონტროლირებადი სინთეზი) პრობლემების შესწავლას აპირებს. სწავლის გაგრძელებას კი საზღვარგარეთის რომელიმე უმაღლეს სასწავლებელში გეგმავს.

„ამ სტიპენდიის მიღება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. დღეიდან უფრო მეტი მონდომებით დავეუფლები ჩემს პროფესიას,“ — გვითხრა გიორგი მილოშევიჩმა.

პროფესორ ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის გადაცემის საზეიმო ცერემონიას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი რამაზ ბოჭორიშვილი, სტიპენდიატების შესარჩევი კომისიის ხელმძღვანელი, აკადემიკოსი ნიკო ვახანია და კომისიის წევრი ხათუნა კახიანი უძღვებოდნენ. მათ სტუდენტებს მომავალ სამეცნიერო მოღვაწეობაში წარმატებები უსურვეს და აღნიშნეს, რომ ესტატე ხმალაძის მაგალითი მათთვის მისაბაძი უნდა იყოს და თუკი ისინი სამეცნიერო კარიერაში წარმატებას მიაღწევენ, **თსუ-ის მომავალი სტუდენტების** წახალისებაზეც ანალოგიურად უნდა იზრუნონ.

„მინდა მივულოცო ორივე ახალგაზრდას სტიპენდიის მიღება და წარმატება ვუსურვო. ძალიან სასიამოვნოა, რომ სტიპენდიატი 2 ღირსეული ახალგაზრდა გახდა. მეორე სტიპენდია არ დაინიშნებოდა, რომ ორივე კანდიდატი, მართლაც, საუკეთესო არ ყოფილიყო. ეს ახალგაზრდები თავისი სამეცნიერო კარიერის დასაწყისში არიან და იმედი მაქვს, კიდევ არა ერთ კონკურსში მოუწვეთ მონაწილეობის მიღება და გამარჯვების მოპოვება. ჩვენი წარმატებული კურსდამთავრებულები ყოველთვის აღნიშნავენ, რომ სტუდენტობის წლებში მიღებული ნებისმიერი ჯილდო, გამოქვეყნებულ ნაშრომებთან ერთად, მათი წარმატების ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა“, — განაცხადა რამაზ ბოჭორიშვილმა.

„ესტატე ხმალაძემ გადაწყვიტა, რომ საკუთარი სახსრებიდან, ყოველ წელს, ერთ საუკეთესო სტუდენტს სტიპენდია გამოუყოს. ამ შემთხვევაში გამონაკლისი დავუშვით და სტიპენდია ორმა ახალგაზრდამ მიიღო. ისინი მათი აკადემიური მოსწრების გათვალისწინებით შევარჩიეთ. ვფიქრობ, აუცილებელია, ასეთი ფაქტები საზეიმოდ **აღვნიშნოთ, რათა სხვა სტუ**დენტებმაც ნახონ, რომ დღევანდელ დღეს ცოდნა ნამდვილად ფასდება“, — გვითხრა აკადემიკოსმა ნიკო ვახანიამ.

ესტატე ხმალაძის სტიპენდია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე მეხუთე წელია დაწესდა.

„ეს სტიპენდია ჩემთვის სიურპრიზია“

თამარ დადიანი

განსაკუთრებით ნიჭიერი ახალგაზრდებისათვის სტიპენდიებისა და გრანტების მინიჭება საგანმანათლებლო რეფორმის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ჩართულია სახელმწიფო, კომერციული და კერძო სექტორიც, ანუ ყველა, ვისთვისაც მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავალზე ზრუნვა.

გასულ წელს თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მანანა გეგეჭკორის სახელობის სტიპენდია დაინიშნა, რომელიც წელიწადში ერთხელ გადაეცემა ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის წარჩინებულ სტუდენტს.

მანანა გეგეჭკორი ბიოლოგიის ფაკულტეტის ბიოფიზიკის კათედრაზე 25 წლის განმავლობაში მუშაობდა. მან კოლეგების დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა. სამწუხაროდ, ქალბატონი მანანა უკურნებელი სენით გარდაიცვალა. მისმა მეუღლემ ანზორ მიქაიამ, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრობს და მოღვაწეობს, ქალბატონი მანანას სახელის უკვდავსაყოფად, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტისთვის 2000 დოლარის ოდენობის ერთწლიანი სტიპენდია დააწესა.

წელს მანანა გეგეჭკორის სახელობის სტიპენდიატი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გამოყენებითი ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტი ცოტნე ჩიტიაშვილი გახდა, რომელსაც 28 მარტს სტიპენდია საზეიმოდ გადაეცა.

„ჩემთვის ნამდვილად სიურპრიზი იყო ეს სტიპენდია. ახლა გავიგე ამის შესახებ და ძალიან გამიხარდა. ბიოლოგიით ბავშვობიდანვე ვიყავი დაინტერესებული და ეს სტიპენდია ჩემთვის დიდი სტიმული იქნება, რომ მომავალში უფრო აქტიურად და ნაყოფიერად დავეუფლო ამ მეცნიერებას. ყველა სტუდენტს მართლაც გაეხარდებოდა ასეთი სტიპენდიის მიღება. მინდა, რომ მათი რიცხვი უფრო გაიზარდოს და ეს საგანი ახალგაზრდებში უფრო პოპულარობით სარგებლობდეს“, — განაცხადა ცოტნე ჩიტიაშვილმა.

„ეს სტიპენდია დიდი იმპულსია ჩვენი სტუდენტებისათვის. ქველმოქმედება, რომელსაც ანზორ მიქაია ეწევა, ნამდვილად სამაგალითო და მისასალმებელია. სტიპენდიამ დიდი რეზონანსი ჰპოვა სტუდენტებში. წელს ჩვენ დიდი მუშაობა მოგვიწია, რომ კონკურსანტებს შორის საუკეთესო დაგვესახელებინა.

როდესაც კონკურსანტების საბუთებს გადავხედეთ, გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი სტუდენტი თავისი აკადემიური მოსწრების მიხედვით ასისტენტ პროფესორსაც კი შეიძლება გაუტოლდეს. მისასალმებელია, რომ ასეთი მომზადებული კონტინგენტი გვყავს“, — აღნიშნა კომისიის თავმჯდომარემ, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ბიომრავალფეროვნების მიმართულების სრულმა პროფესორმა არნოლდ გეგეჭკორმა.

კონკურსში II და III ადგილზე გასულებს – გიორგი ბურჯანაძესა და ნატალია დაჯანიძეს თსუ-ის პროფესორმა არნოლდ გეგეჭკორმა საჩუქრად სამახსოვრო წიგნები გადასცა.

„სახელობითი სტიპენდიები ხელს უწყობს უმაღლესი განათლების მიღებაში ნიჭიერ და მოტივირებულ სტუდენტებს, სტიმულს აძლევს მათ და წარმატებებისათვის განაწყობს. მინდა, მადლობა გადავუხადო ბატონ ანზორს ასეთი გულისხმიერებისთვის. მიმაჩნია, რომ ეს ნაბიჯი საუკეთესო ფორმაა საყვარელი ადამიანის სახელის უკვდავსაყოფად. აქვე მინდა, მივულოცო გამარჯვებულს და კვლავაც წარმატებები ვუსურვო“, — აღნიშნა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

თსუ-ის პროფესორებმა ნანა დორეულმა და ნინო არჩვაძემ დიდი პატივისცემით გაიხსენეს აწ გარდაცვლილი კოლეგები.

ბატონმა ანზორმა მადლობა გადაუხადა თსუ-ის რექტორატს, ფაკულტეტის დეკანატს თავისი იდეის პრაქტიკულად განხორციელებაში გაწეული დახმარებისათვის და აღნიშნა: „ვფიქრობ, წარჩინებული სტუდენტის სტიპენდიით წახალისება ყველაზე კეთილშობილური ნაბიჯია. მანანა გეგეჭკორი ბიოლოგიის, ბიოქიმიისა და ბიოტექნოლოგიის განვითარებაში ხედავდა კაცობრიობის პროგრესს და ბიოლოგიის ქართული სამეცნიერო სკოლის გამარჯვებას. ეს სტიპენდია არის მისი ანდერძი თსუ-ის სტუდენტებისთვის... მათთან ხომ მან ცხოვრების 25 წელი გაატარა. ეს სტიპენდია უნდა გახდეს სტიმული სტუდენტებისთვის, რათა ისინი უფრო მოტივირებულნი, ტოლერანტულნი, ცოდნის გაფართოებასა და გაღრმავებაზე ორიენტირებულნი გახდნენ“.

ორმხრივი დიპლომის მიღების შესაძლებლობა მათემატიკაში

საქართველოში კონკურენტუნარიანი, შრომის ბაზრისთვის მაღალრეიტინგული კადრების მომზადების მიზნით, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) მხარდაჭერით ხორციელდება გიოტინგენის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთო სადოქტორო პროგრამა „მათემატიკა“, რომლის ფარგლებშიც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს ეძლევათ უპრეცედენტო შესაძლებლობა — გაიარონ საერთო სადოქტორო პროგრამა (საქართველოში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - 1 წელი და გერმანიაში, გიოტინგენის უნივერსიტეტში — 2 წელი) და მიიღონ ორმხრივი დიპლომი. ამ პროგრამაში ჩართვა შეუძლია საქართველოში მცხოვრებ მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე ნებისმიერ ახალგაზრდას. პროგრამის ინიციატორები და ხელმძღვანელები არიან პროფესორები ***რალფ მეიერი და ხვედრი ინასარიძე.***

დაწვრილებითი ინფორმაციის მისაღებად ვესაუბრეთ გიოტინგენის უნივერსიტეტის პროფესორს რალფ მეიერს.

თამარ დადიანი

— ბატონო რალფ, როგორ დაიწყო თქვენი თანამშრომლობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან?

— 2007 წელს თბილისში გამართულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მივიღე მონაწილეობა. ასე დავუახლოვდი



ქართველ კოლეგებს და მათთან თანამშრომლობის საფუძველზე **გიოტინგენის უნივერსიტეტისა** და რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მეცნიერებმა მოვიპოვეთ ერთობლივი სამეცნიერო გრანტი, რომლის დაფინანსებაც „ფოლკსვაგენმა“ უზრუნველყო.

— გიოტინგენის უნივერსიტეტთან საერთო სადოქტორო პროგრამის შესახებ რას გვეტყვით?

— როდესაც ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროგრამებს გავეცანი, ვნახე, რომ სწავლის გასაგრძელებლად ნიჭიერი სტუდენტების დიდი ნაწილი საზღვარგარეთ იყო წასული. ამიტომ გადავწყვიტე, პროფესორ ხვედრი ინასარიძესთან ერთად გამეკეთებინა საერთო სადოქტორო პროგრამა, რომელიც ერთობლივი დიპლომის მიღების შესაძლებლობას იძლევა. სტუდენტები დოქტორანტურის პირველ სასწავლო წელს თსუ-ში გაივლიან, ხოლო დანარჩენ ორს — **გიოტინგენის უნივერსიტეტში**. კანდიდატთა შესარჩევი ჟიურის შემადგენლობაში შედიან: პროფესორები ხვედრი ინასარიძე, ომარ ღლონტი, თამაზ თადუმაძე **(თსუ) და გიოტინგენის უნივერსიტეტის** პროფესორები: მე, ანუ რალფ მეიერი, ანიტა შოებელი და ანია შტურმი.

საერთო სადოქტორო პროგრამის მიზანია ცოდნის გაღრმავება და მეცნიერული **კვლევების ჩატარება მათემატიკასა და გამოყენებითი** მათემატიკის სხვადასხვა დარგებში, ალბათობის თეორიასა და **სტოქასტურ პროცესებში**, მათემატიკურ სტატისტიკაში.

დოქტორანტის კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე, პროგრამის სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს სალექციო კურსებს მათემატიკასა და გამოყენებითი მათემატიკის სხვადასხვა დარგებში, მათემატიკურ სტატისტიკაში. პროგრამის გავლის შემდეგ დოქტორანტს ექნება ინფორმაცია აღნიშნულ დარგებში მიღწეული წარმატებების შესახებ, ასევე, განუვითარდება ამოცანის მათემატიკურად ჩამოყალიბების, პრობლემის სწორად დასმისა და გადაწყვეტის, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების უნარი.

დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით როგორც თსუ-ში, ასევე, გიოტინგენის უნივერსიტეტში. იგი ისარგებლებს სამეცნიერო ბიბლიოთეკითაც.

— დღეს რამდენი ქართველი დოქტორანტი ეუფლება ამ პროგრამას?

— ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 5 დოქტორანტის მიღება, მაგრამ დღეს აღნიშნული პროგრამით თსუ-ის მხოლოდ 1 დოქტორანტი სწავლობს — მაია სვანაძე. გასულ კვირას სტუდენტებს გავესაუბრე და ამ პროგრამისთვის კიდევ ერთი დოქტორანტი შევარჩიე.

— თქვენი აზრით, რატომ უნდა დაინტერესდეს სტუდენტი ამ პროგრამით?

— პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ გიოტინგენის უნივერსიტეტის მათემატიკის ფაკულტეტი ერთ-ერთი გამორჩეულია მთელ ევროპაში. **იქ არსებული მათემატიკური სკოლა** (მარტო გაუსის გახსენებაც კმარა, სხვა გენიოსებზე რომ არაფერი ვთქვათ) მთელ მსოფლიოში **აღიარებული** და **წარმატებულია**.

— რამდენად ინფორმირებული არიან თსუ-ის დოქტორანტები ამ პროგრამის შესახებ?

— **თსუ-ის დოქტორანტებს საერთო სა**დოქტორო პროგრამის შესახებ ინფორმაცია მიანოდეს თსუ-ის მათემატიკის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებმა, აღნიშნული პროგრამის შესახებ ინფორმაციის მოძიება **თსუ-ის ვებ გვერდზეც არის შესაძ**ლებელი.

— პროგრამის დაფინანსების შესახებ რას იტყვით?

— ამჟამად, თითოეული სტუდენტის დაფინანსების საკითხს ინდივიდუალურად ვწყვეტთ. სწავლების პროცესის დასაფინანსებლად სამეცნიერო გრანტების მოძიებაც ხდება. როგორც მოგახსენეთ, პროგრამა სამწლიანია. სწავლების პირველ წელს ქართული მხარე უზრუნველყოფს, ხოლო ბოლო ორი წლის დაფინანსებას გერმანული მხარე კისრულობს. დოქტორანტს სამეცნიერო ფონდების მოძიებაში ხელმძღვანელიც ეხმარება.

— აკადემიური მოსწრების გარდა რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს დოქტორანტი, რათა ამ პროგრამის მონაწილე გახდეს?

— **დოქტორანტმა შესაბამის მათემატი**კურ თემაზე **მოხსენება უნდა წაიკითხოს ინ**გლისურ (ან გერმანულ) ენაზე. პროგრამის ჟიურის წევრები ქართველი მათემატიკოსები იქნებიან, ისინი გასაუბრების საფუძველზე შეარჩევენ შესაფერის კანდიდატს. ყველაზე რთული მესამე ეტაპია, როცა დოქტორანტისთვის ხელმძღვანელის შერჩევა ხდება. ამ დროს ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ორივე მხარის ხელმძღვანელების ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდეს. ასევე, რთული და საპასუხისმგებლოა სადოქტორო თემის არჩევაც.

— კმაყოფილი ხართ ქართველი სტუდენტების მომზადების დონით?

— თსუ-ის სტუდენტებთან წინა კვირის განმავლობაში ლექციებს ვკითხულობდი. მათი მომზადების დონით მართლაც კმაყოფილი ვარ: ძალიან აქტიურობენ, საინტერესო კითხვებს სვამენ... გასულ წელსაც რამდენიმე ლექცია ჩავატარე და სადოქტორო პროგრამისთვის რამდენიმე სტუდენტიც შევარჩიეთ.

— გიოტინგენის უნივერსიტეტთან თანამშრომლობის ფარგლებში სხვა სიახლეებს ხომ არ ველოდებით?

— თუ ეს პროგრამა წარმატებით განხორციელდა, შეიძლება სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერისთვის დამატებითი გრანტები გამოიყოს. ამ პროგრამის მთავარი მიზანია, **ქართველმა სტუდენტებმა არ დატოვონ სამშობლო** და ევროპული განათლება ადგილზე მიიღონ.

საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადაში მოპოვებული მედლები

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ წერილი მიიღო, რომელშიც არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის (ისრაელი) მათემატიკის და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ოლიმპიადის გამართვის ორგანიზატორი ალექსანდრე დომოშნიცკი ქართველ სტუდენტებს საერთაშორისო მათემატიკურ ინტერნეტ-ოლიმპიადაში გამარჯვებას ულოცავს.

ოლიმპიადა არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის თაოსნობით ონლაინ რეჟიმში ტარდება და მასში მონაწილეობის მიღება საუნივერსიტეტო ცენტრში დარეგისტრირებულ ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია. ოლიმპიადის გამართვის პროცესს ისრაელის მხარისგან ნდობით აღჭურვილი უნივერსიტეტის თანამშრომლები ვიდეო თვალით აკვირდებიან. ოლიმპიადა საკმაოდ პოპულარულია და მასში 20-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს. თსუ ამ ოლიმპიადაში 2008 წლიდან არის ჩართული. ეს გარემოება უდავოდ მისასალმებელია იმ ფონზე, როცა არსებობს მემორანდუმი თანამშრომლობის შესახებ არიელის საუნივერსიტეტო ცენტრსა და თსუ-ს შორის. თსუ-ში ოლიმპიადის ჩატარების ორგანიზებას ხელმძღვანელობენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დიფერენციალური განტოლებების მიმართულების თანამშრომლები: რომან კოპლატაძე (კოორდინატორი), თამაზ თადუმაძე და გრიგორ გიორგაძე.

8 აპრილს საერთაშორისო მათემატიკურ ინტერნეტ-ოლიმპიადაში გამარჯვებულ გუნდებს მედლები, სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები საზეიმოდ გადასცეს. ორი ოქროს მედალი II კურსის სტუდენტის ნიკა სალიას გუნდმა მოიპოვა.

გამარჯვებული გუნდის წევრები არიან: მიხეილ მებონია, ირაკლი მერაბიშვილი, ალექსანდრე ლომაძე და ნიკა სალია. ოთხივენი ვ. კომაროვის თბილისის 199-ე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები და, ამავე დროს, ამავე სკოლის პედაგოგებიც არიან, ისინი წრის მეცადინეობებს ხელმძღვანლობენ. მიუხედავად მათი ახალგაზრდული ასაკისა, ახალბედებიც არ ეთქმით, საკმაო გამოცდილების მქონენი არიან. ისინი წარმატებასა და გამოცდილების შეძენას, უპირველეს ყოვლისა, სკოლას უმადლიან, ვინაიდან კარგი საძირკველი სწორედ სკოლიდან გამოჰყვათ.

„თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტმა მოგვცა საშუალება, სკოლაში ჩაყრილ მყარ საფუძველზე ასევე მყარი კედლის შენებას შევდგომოდით. ამ ფაკულტეტზე სწავლამ კი გზა გაგვიხსნა წარმატებისაკენ და შედეგმაც არ დააყოვნა. ამ ოლიმპიადაში მონაწილეობას ყოველთვის დიდი ინტერესით ვხვდებოდით და ვცდილობდით ისე მოვმზადებულიყავით, რომ ჩვენი პროფესორ-მასწავლებლების ნდობა გაგვემართლებინა. ბრძოლა გამარჯვებისათვის საკმაოდ დაძაბულად მიმდინარეობდა, ღირსეული კონკურენტები გვყავდა, მაგრამ ქართველმა სტუდენტებმა კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ ქართული მათემატიკური სკოლის სიძლიერე, რომელიც მსოფლიო სამეცნიერო წრეებშიც აღიარებულია," - განაცხადა გუნდის კაპიტანმა ნიკა სალიამ.

ვერცხლის მედლები II კურსის სტუდენტებისგან დაკომპლექტებულ გუნდებს ერგოთ, რომლის კაპიტნები იყვნენ: ლევან ვარამაშვილი და მარიამ რუსიშვილი, ხოლო ბრინჯაოს მედალი მაგისტრატურის I კურსის სტუდენტის ირაკლი ჩიტაიას გუნდმა დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ სექტემბერში ისრაელში გაიმართება „სუპერფინალი“, რომელშიც 2010-2011 წლებში გამარჯვებული სტუდენტები მიიღებენ მონაწილეობას. პარალელურად ტარდება საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც უნივერსიტეტებში სწავლების მეთოდებს და კულტურულ ურთიერთობებს ეძღვნება.

საქალაქო სასამართლოს სამართლებრივ ოლიმპიადაში თსუ-მ გაიმარჯვა

თბილისის საქალაქო სასამართლოს ორგანიზებით გამართულ სამართლებრივ ოლიმპიადაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის გუნდმა გაიმარჯვა, რომლის ხელმძღვანელი იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გიორგი ჯავახაძე გახლდათ. ოლიმპიადაში, თსუ-ის გარდა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტისა და კავკასიის სამართლის სკოლის ბაკალავრიატის III და IV კურსის სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. თითოეული უმაღლესი სასწავლებლის გუნდი 7 სტუდენტისგან შედგებოდა.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამართულ სამართლებრივ ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად, თსუ-ის გარდა, ყველა უმაღლესმა სასწავლებელმა სტუდენტები წინასწარ შესარჩევი ეტაპების გავლის შედეგად გაგზავნა. იმ მიზეზის გამო, რომ ოლიმპიადის გამართვის შესახებ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ადმინისტრაციას ინფორმაცია გვიან მიაწოდეს, მათ ოლიმპიადის წინა შესარჩევი ტურების დანიშვნა ვეღარ მოასწრეს და სამართლებრივ ოლიმპიადაზე საუკეთესო ქულების მქონე სტუდენტები გაგზავნეს: გიორგი ტალახაძე (IV კურსი), ნინო ბეგიაშვილი (IV კურსი), რუსუდან როგავა (IVკურსი), ნანა დოღონაძე (IV კურსი), გიორგი ხაზარაძე (IV კურსი), ანა სულხანიშვილი (III კურსი) და ემზარ გაგნიძე (III კურსი).

სამართლებრივი ოლიმპიადა 5 ეტაპს მოიცავდა: კაზუსის ამოხსნა, სამართლებრივი კითხვები, მეტყველება-ორატორობა, სამართლებრივი შეცდომების კორექტირება და დებატები. ოლიმპიადაზე კითხვები დაისვა სამოქალაქო სამართლის, ადმინისტრაციული სამართლისა და სისხლის სამართლის სფეროებიდან. გამარჯვებული გუნდის ვინაობა ბოლო ეტაპმა – დებატებმა გადაწყვიტა, რომელშიც მხოლოდ გუნდების კაპიტნები მონაწილეობდნენ.

„ეს ოლიმპიადა ჩვენთვის იყო ძალიან აზარტული პაექრობა. დღეს უმაღლეს სასწავლებლებს შორის დიდი კონკურენციაა და მსგავსი ოლიმპიადები საშუალებას მოგვცემს დავამტკიცოთ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის მიმართულებით სწავლების ხარისხი მართლაც რომ საუკეთესოა“, — განაცხადა გუნდის წევრმა ნინო ბეგიაშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციამ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის გუნდს ერთ-ერთ ჯილდოდ სტაჟირების გავლა და შემდეგ დასაქმება შესთავაზა, სტუდენტები ამ საჩუქრის გამოყენებას არ აპირებენ, რადგან ყველა მათგანი უკვე ან დასაქმებულია საკუთარი პროფესიით ან სტაჟირებას უკვე გადის.

თბილისის საქალაქო სასამართლოში სამართლებრივი ოლიმპიადების გამართვა მიმდინარე წლიდან ტრადიციად იქცევა, იგი წელიწადში ორჯერ გაიმართება. თემიდას ქანდაკება კი, რომელიც ამ ოლიმპიადის მთავარი სიმბოლოა და რომელიც ახლა თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე ინახება, გარდამავალი ჯილდო გახდება. ქანდაკება იმ უმაღლეს სასწავლებელში დაიდებს ბინას, რომელი უნივერსიტეტის გუნდიც მომდევნო ოლიმპიადაზე პირველ ადგილს მოიპოვებს.

ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲟᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲜᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

თსუ-ის მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის შესაძლებლობა ეძლევათ. აღმოსავლეთ-დასავლეთის მენეჯმენტის ინსტიტუტი კონკურსს აცხადებს პროექტის — „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ (G-PAC) ფარგლებში, მასში მონაწილეობის მიღება შეეძლებათ საქართველოში მოქმედი ყველა უმაღლესი სასწავლებლის საჯარო პოლიტიკის, სახელმწიფო მართვის, პოლიტიკური მეცნიერებების, ეკონომიკის და სხვა მონათესავე სპეციალობების მაგისტრანტებს, დოქტორანტებსა და ბაკალავრიატის ახალ კურსდამთავრებულებს.

პროგრამის — „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ ფარგლებში საუკეთესო მონაცემების მქონე 25 ან 30 კონკურსანტი შეირჩევა. ისინი სტაჟირების პროცესში თვეში 300 დოლარს მიიღებენ. სტაჟირება წელინადის ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი და 3-დან 6 თვემდე გრძელდება. აღსანიშნავია, რომ ანაზღაურებადი სტაჟირების გავლის მსურველებმა უნდა მიმართონ ქართულ არასამთავრობო ორგანიზაციებს ან საჯარო უწყებებს, მოელაპარაკონ მათ სტაჟირების გავლის პირობებსა და ხანგრძლივობაზე და მხოლოდ ამის შემდეგ შეიტანონ საბუთები ანაზღაურებადი სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ანუ, აღმოსავლეთ-დასავლეთის მენეჯმენტის ინსტიტუტი სტაჟირების გავლის მსურველებს მიმღებ ორგანიზაციებთან შუამდგომლობას არ გაუწევს. კონკურსანტებმა, ასევე, უნდა წარადგინონ G-PAC საგანაცხადო ფორმა, სამოტივაციო წერილი, ოფიციალური წერილი არასამთავრობო ორგანიზაციებიდან ან საჯარო უწყებიდან (რომლითაც ორგანიზაცია იუწყება, რომ დაფინანსების შემთხვევაში მიიღებს სტაჟიორს), ავტობიოგრაფია, 3 რეკომენდატორის სახელი და გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია, ხოლო იმ აპლიკანტებმა, რომლებიც სტაჟირების პერიოდში უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, უნდა წარადგინონ ამ უმაღლესი სასწავლებლის ოფიციალური ნებართვაც. კონკურსის ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ქართული უმაღლესი სასწავლებლებისთვის სახელმწიფო მართვის, საჯარო პოლიტიკის, პოლიტიკური მეცნიერებებისა და სხვა მონათესავე პროგრამებისა და კურსების განვითარებაში ხელის შეწყობა.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მენეჯმენტის ინსტიტუტის პროგრამის — „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ (G-PAC) კოორდინატორებმა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის პრეზენტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1 აპრილს გამართეს.

„პროგრამის მიზანია, ერთმანეთს დავუკავშიროთ სტუდენტები და პოტენციური დამსაქმებელი ორგანიზაციები, ხელი შევუწყოთ ახალგაზრდებს, რათა შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს მათ დასაქმებას. ჩვენ, ასევე, გვინდა, რომ დავეხმაროთ კვლევით ორგანიზაციებსა და უმაღლეს სასწავლებლებს პარტნიორული ურთიერთობების დამყარებაში. ზოგადად, მიღებულია, რომ მაგისტრატურის სტუდენტები სტაჟირებას გადიან სხვადასხვა ორგანიზაციებში და ამისთვის აკადემიურ კრედიტებსაც იღებენ, სტაჟირება აკადემიური პროგრამის ნაწილი ხდება, ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიზანი ამ პრაქტიკის დამკვიდრებაც გახლავთ“, — აღნიშნა ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის კოორდინატორმა ნინო ღვინაძემ.

ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამაში მონაწილეობის მიღება მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებს სექტემბრამდე შეეძლებათ, თუმცა პროექტის — „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ კოორდინატორები არ გამორიცხავენ, რომ საუკეთესო აპლიკანტების მიღების შემთხვევაში 30-ვე სტაჟიორი გაზაფხულის ბოლოსთვის შეირჩეს.

აღმოსავლეთ-დასავლეთის მენეჯმენტის ინსტიტუტის პროექტის — „საჯარო პოლიტიკის, ადვოკატირებისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება საქართველოში“ (G-PAC) მთავარი მიზანი სამოქალაქო საზოგადოების როლის გაზრდა და ამ გზით საზოგადოების ინტერესების უკეთ დაცვა გახლავთ. ამ მიზნის მისაღწევად პროექტი 4 მიმართულებით ხორციელდება: არასამთავრობო ორგანიზაციების მონიტორინგისა და ადვოკატირების პროგრამების ხელშეწყობით მოქალაქეთა ინტერესების დაცვა; სახელმწიფო რეფორმებისა და, ზოგადად, საჯარო პოლიტიკის ფორმირების პროცესის, მათ შორის, კვლევისა და ანალიზის სისტემების დახვეწა; არასამთავრობო ორგანიზაციათა ქმედითი კოალიციებისა და პარტნიორობების, ასევე, მასმედიასთან, პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებასთან მათი კავშირების განმტკიცების ხელშეწყობა და უმაღლესი სასწავლებლების საჯარო პოლიტიკის, სახელმწიფო მართვისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა პროგრამების ინსტიტუციების გაძლიერება. ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამის საშუალებით ამ პროცესში ჩართვა და პროფესიული ზრდა თსუ-ის აღნიშნული სპეციალობების დოქტორანტებს, მაგისტრანტებს და ბაკალავრიატის ახალ კურსდამთავრებულებსაც შეუძლიათ, თუმცა ამისათვის მათ ჯერ შესარჩევ კონკურსში გამარჯვება მოუწევთ.

მოამზადა: ᲜᲐᲤᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

ᲐᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ

ᲜᲣ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲗ ᲐᲜᲢᲘᲑᲘᲝᲢᲘᲙᲔᲑᲡ ᲠᲩᲔᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!

ᲯᲐᲜᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში აქტუალური პრობლემების მოგვარება ქვეყნის პოლიტიკური კურსის გამტარებლების პრეროგატივაა, რომლებიც პასუხს აგებენ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და ეფექტურ სამედიცინო მომსახურეობაზე. ამჟამად აქტუალური ანტიბიოტიკების მიღების წესის განსაზღვრაა, რადგან არსებობს საშიშროება იმისა, რომ ამ პრეპარატებმა შეიძლება ეფექტურობა დაკარგონ. ბაქტერიები მათ წინააღმდეგ რეზისტენტობას გამოიმუშავებენ. ამის მიზეზი ანტიბიოტიკების არასწორი გამოყენება, განსაკუთრებით კი, მათი ჭარბად მოხმარებაა. ანტიბიოტიკების გამოყენება რაციონალური უნდა იყოს, ანუ მათი მიღება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოხდეს, როდესაც ეს საჭირო და გამართლებულია თერაპიული მიზნებით. ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობის პრობლემა ავადობასა და სიკვდილიანობის მატებას იწვევს. ეს პრობლემა დაუყოვნებლივ რეაგირებას მოითხოვს. ევროკავშირში, ნორვეგიასა და ისლანდიაში ყოველწლიურად 25 000-ზე მეტი ადამიანი იღუპება გავრცელებული რეზისტენტული ბაქტერიული ინფექციებისაგან. რეზისტენტული ბაქტერიები სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს როგორც სამედიცინო დაწესებულებების, ასევე მოსახლეობისთვისაც.

აი, რატომ მიეძღვნა ამ პრობლემას ჯანდაცვის მსოფლიო დღის აღსანიშნავი ღონისძიებები თსუ-ში, რომლის დეტალი გახლდათ — ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობა: არ ვიმოქმედებთ დღეს, ვერ ვუმკურნალებთ ხვალ!

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲘ

7 აპრილს, ჯანდაცვის მსოფლიო დღე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტმა სტუდენტურ ორგანიზაცია „EMSA TSU“-სთან და თსუ-ის სტუდენტურ თვითმართველობასთან ერთად აღნიშნა. ღონისძიებაში მონაწილეობდა „საქართველოს ექიმთა ასოციაციაც“. ამ დღეს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია 1950 წლიდან აღნიშნავს.

თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა უნივერსიტეტის II და XI კორპუსებში საინფორმაციო ფლაერები დაარიგეს, ხოლო ანტიმიკრობულ რეზისტენტობასთან დაკავშირებით სემინარი გაიხსნა. თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლებმა და საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის გამგეობის წევრებმა შემდეგი მოხსენებები წაიკითხეს: „მედიკამენტური ალერგიის თანამედროვე ასპექტები ბავშვებში“ (მომხსენებელი: თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სრული პროფესორი რუსუდან ქარსელაძე); „წამლის მიმართ რეზისტენტობა“ (მომხსენებელი: თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პოფესორი მაკა ჭიპაშვილი); „ანტიბიორეზისტენტობის დაძლევის ალტერნატიული გზები“ (მომხსენებლები: საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის გამგეობის წევრები, ასოცირებული პროფესორი ია ფანცულია და დოქტორანტი ბესო ლასარეიშვილი).

სემინარს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და საქართველოს ალერგოლოგიისა და კლინიკური იმუნოლოგიის ასოციაციის გამგეობის წევრები, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტები.

„პრობლემა, რომელსაც დღეევანდელი დღე ეძღვნება, მეტად მნიშვნელოვანია ჯანმრთელი მომავალი თაობის აღსაზრდელად. თუ ამ საკითხის მიმართ საზოგადოებას გლობალური ინტერესი ექნება და პრობლემის მოგვარების ალტერნატიულ გზებსაც ვიპოვით, მხოლოდ მაშინ შევძლებთ ერთიანი ძალისხმევით მკურნალობის ეფექტური მეთოდების დანერგვას. სტუდენტები მომავალში მშობლები გახდებიან და აღნიშნული პრობლემის მიმართ მათ გარკვეული წარმოდგენა უნდა გააჩნდეთ, რათა მათი შვილების ჯანმრთელობას საფრთხე არ დაემუქროს“, — აღნიშნა საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავჯდომარემ ოთარ თოიძემ.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის წევრმა ქალბატონმა რუსუდან კლიმიაშვილმა აღნიშნა, რომ რაც უფრო სერიოზულად და რაციონალურად მივუდგებით არსებულ პრობლემას, მით უფრო დაცულები ვიქნებით. „ანტიბიოტიკების მოხმარებისა და გამოყენების წესის დაცვა ადამიანის ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორია და მისმა თვითნებურმა მოხმარებამ შეიძლება მძიმე შედეგამდე მიგვიყვანოს. საკითხის კვლევა პირველად 1995 წელს ჩატარდა და აღმოჩნდა, რომ ქვეყანაში, ამ მხრივ, კატასტროფული მდგომარეობა იყო, ამიტომ საზოგადოების ინფორმირება არსებული პრობლემის მიმართ აუცილებელია. ასეთი სახის ღონისძიებები კი ზრდის საზოგადოების ინფორმატიულობის დონეს, რაც უდავოდ მისასალმებელია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა ალექსანდრე კვიტაშვილმა.

ამიტომაც მიუძღვნა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ არა ერთი ღონისძიება ანტიმიკრობულ რეზისტენტობას და მსოფლიო საზოგადოებას წამლების დაბალანსებული გამოყენებისკენ მოუწოდა.

„ანტიმიკრობული რეზისტენტობის არსებობა მუდმივი პროცესია. მთავარია, რომ პრობლემა სამედიცინო პერსონალის ჩართვით მართვადი გახდეს. წამლის მიმართ რეზისტენტული მიკრობით ინფიცირება შესაძლებელია განვითარდეს სამედიცინო დაწესებულებაში (მაგალითად: სტაფილოკოკური ინფექციების განვითარება ინტენსიურ განყოფილებაში), საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაგალითად პნევმოკოკით ინფიცირება საკლასო ოთახიდან, აუდიტორიიდან) და საკვები პროდუქტების საშუალებით (მაგალითად, სალმონელათი ინფიცირება ხორცის და კვერცხის პროდუქტების საშუალებით). ნებისმიერ ადამიანს აქვს წამლის მიმართ რეზისტენტული მიკროორგანიზმით ინფიცირების რისკი“, — აღნიშნა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ასისტენტ-პოფესორმა მაკა ჭიპაშვილმა.

საზოგადოებამ უფრო მეტი უნდა იცოდეს ასეთი რისკების შესახებ, რათა თავიდან აიცილოს მძიმე შედეგები. ევროპის ბევრ ქვეყანაში ანტიბიოტიკების შესაძენად აუცილებელი არ არის ექიმის დანიშნულება, ფარმაცევტული ინდუსტრია კი დიდ ზეწოლას ახდენს ექიმებსა და ფარმაცევტებზე — გაყიდონ მათი მედიკამენტები. ანტიბიოტიკებისადმი რეზისტენტობასთან საბრძოლველად საჭიროა ფართომასშტაბიანი დარგთაშორისი მიდგომა და აქტიური ჩართულობა. პრობლემის სირთულე და მასში ჩართული დარგების მრავალფეროვნება მოითხოვს მძლავრ კოორდინაციას ეროვნულ დონეზე, ზედამხედველობის სისტემებს, ეროვნულ გაიდლაინებსა და დარგობრივ სამოქმედო გეგმებს. უკვე არსებობს გამოცდილება და წარმატებული პრაქტიკა: ბევრ ქვეყანაში ანტიბიოტიკების გაყიდვა რეგულირდება და მათი გაყიდვა მხოლოდ ექიმის დანიშნულების საფუძველზე ხდება. ევროპის ქვეყნების უმეტესობაში რეცეპტის გარეშე არც ერთი ანტიბიოტიკი არ იყიდება.

ჯანდაცვის მსოფლიო კვირეულთან დაკავშირებით 11, 12 და 13 აპრილს თსუ-ში სხვა თემატური ღონისძიებებიც გაიმართა.

11 აპრილს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა წაიკითხეს მოხსენება თამბაქოს ზიანის შესახებ, ღონისძიების დასასრულს გაიმართა თემატური კინოჩვენება.

სტუდენტები ნარკომანიის თემასაც გამოეხმაურნენ და კარგად მომზადებული პრეზენტაციაც წარადგინეს, შემდეგ გაიმართა კინოფილმ „კალათბურთელის დღიურების“ ჩვენება. 13 აპრილს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებმა ჩაატარეს ტრენინგი გადაუდებელი სამედიცინო დახმარების შესახებ.

უკრაინისტიკის განვითარებას პერსპექტივა გამოუჩნდა

აკადემიკოს ოთარ ბაქანიძის ძალისხმევით და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით ახლახან უკრაინისმცოდნეობის ნაციონალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის დაიდო ხელშეკრულება შემოქმედებითი თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ. ოთარ ბაქანიძის თქმით, სამწუხაროდ, ბოლო წლების მანძილზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სათანადო ყურადღება აღარ ექცეოდა უკრაინისტიკის განვითარებას და მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის რექტორის ალექსანდრე კვიტაშვილისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დარეჯან თვალთვაძის ხელშეწყობით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

შურთხია გეროშვილი

უკრაინისა და საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს შორის სამეცნიერო-კულტურულ ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, 1834 წელს, წმინდა ვოლოდიმირის კიევის უნივერსიტეტის გახსნიდან სულ რაღაც 25 წლის შემდეგ, მას ხშირად სტუმრობდა და ლექციებს ესწრებოდა კიევის სასულიერო აკადემიის სტუდენტი იაკობ გოგებაშვილი. შემდგომში კიევის უნივერსიტეტი დაამთავრეს ალექსანდრე სარაჯიშვილმა, შიო ჩიტაძემ, ნესტორ რამბარაშვილმა, სიმონ გოგიტიძემ და სხვებმა. მოგვიანებით უკრაინაში სასწავლებლად გაემგზავრნენ მსახიობი აკაკი ხორავა, ექიმები: გიორგი ნათაძე, ალექსანდრე ფხაკაძე და სხვები. გასული საუკუნის 90-იან წლებში კი კიევის უნივერსიტეტი დაამთავრა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა. სიმბოლურია, რომ თბილისში სწავლობდა უკრაინის პირველი პრეზიდენტი მიხაილო გრუშევსკი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1940 წლიდან იკითხება უკრაინული ლიტერატურის ისტორია და უკრაინული ენა. 1964 წელს კი პირველი გაცვლითი პროგრამა განხორციელდა კიევისა და თბილისის უნივერსიტეტებს შორის.იმ პერიოდში საქართველოში გაიმართა უკრაინული ლიტერატურის პირველი დეკადა, რომელშიც უნივერსიტეტიც აქტიურად იყო ჩართული. იმ დროიდანვე დაიწყო ორენოვანი კრებულების გამოცემა, რომლებიც, ძირითადად, სტუდენტების შედგენილი იყო. პარალელურად ქვეყნდებოდა უკრაინელი მწერლების შესახებ მონოგრაფიები, რომელთაგან მნიშვნელოვანია უკრაინისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელის, აკადემიკოს ოთარ ბაქანიძის მონოგრაფიები ლესია უკრაინკას, ტარას შევჩენკოს, ივან ფრანკოს, პავლო ტიჩინას და სხვათა ცხოვრებასა და შემოქმედებაზე. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულებით თსუ-ის გამომცემლობამ გამოსცა 37 მონოგრაფიული გამოკვლევა, 27 ორენოვანი კრებული და ასზე მეტი წიგნი, რომელიც უნივერსიტეტის ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრამ და უკრაინისტიკის ინსტიტუტმა მოამზადეს.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთ-ერთი კერაა, სადაც ამ ორი ხალხის ურთიერთობას ეყრება საფუძველი. ჩვენ მიერ დაწყებული პროპაგანდა სიყვარულში გადადის. საუკუნოვანი მეგობრობის მანძილზე ამ ურთიერთობაში ბზარი არ გაჩენილა. ჩვენი მთავარი ამოცანა ამ მეგობრობის გაღრმავებაა“, — ამბობს აკადემიკოსი ოთარ ბაქანიძე, რომლის ძალისხმევითაც უკრაინისმცოდნეობის ნაციონალურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის ხელშეკრულება გაფორმდა.

ოთარ ბაქანიძის ინფორმაციით, ამ ხელშეკრულების მთავარი მიზანია, მხარეთა ერთიანი ძალისხმევით უწყვეტი ტრადიციული და დისტანციური სწავლების, აპრობაციის კომპლექსური სისტემის შექმნა; უკრაინისმცოდნეობაში, უკრაინულ ენასა და ლიტერატურაში, ისტორიაში, ქართველოლოგიაში, ქართულ კულტურასა და ენაში და სხვა სასწავლო დისციპლინებში პედაგოგთა და მასწავლებელთა მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. ამასთან, ხელშეკრულების მიზანია ერთიანი სამეცნიერო-შემოქმედებითი მუშაობა ინოვაციური საგანმანათლებლო პროექტების განსახორციელებლად; უკრაინისმცოდნეობაში, უკრაინულ ენასა და ლიტერატურაში, ქართველოლოგიაში, ქართულ კულტურასა და ენაში საერთაშორისო პრობლემების კომპლექსური კვლევა და შესწავლა; თანამედროვე მეთოდიკის პოპულარიზაცია; მაპროფილებელი სპეკკურსების დანერგვა; ერთობლივი საგამომცემლო საქმიანობა; სასწავლო დისციპლინებში საშუალო და უმაღლესი სკოლებისთვის სამეცნიერო მეთოდური მასალების, სახელმძღვანელოებისა და მათი ელექტრონული ვერსიების შექმნა. ერთობლივი პროგრამით განხორციელდება მეცნიერული შესწავლა უკრაინული ეთნოსის ცხოვრებაზე საქართველოში და ქართველი ეთნოსისა — უკრაინაში.

„მრავალი წლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც უკრაინის სასწავლებელთან ხელშეკრულება დაიდო. უკრაინის უნივერსიტეტთან ურთიერთთანამშრომლობა პირველად 1939 წელს გაფორმდა. 1941 წელს გადაიდგა ნაბიჯი ამ ხელშეკრულების განახლებისკენ, მაგრამ მაშინ ამ პროცესს სამამულო ომმა შეუშალა ხელი. მოგვიანებით კიდევ იყო ურთიერთობის განახლების მცდელობა, მაგრამ ვერ განხორციელდა. დღეს კი სასიხარულო ფაქტია, რომ ურთიერთობა კვლავ აღდგა. კიევის უკრაინისმცოდნეობის სამეცნიერო ინსტიტუტს, რომელიც უკრაინის განათლების სამინისტროს დაქვემდებარებაშია, საკმაოდ დიდი და მჭიდრო კონტაქტები აქვს მსოფლიოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან. მოგეხსენებათ, მათ საერთაშორისო ორგანიზაციაც აქვთ შექმნილი, რომლის პრეზიდენტიც ამ ინსტიტუტის დირექტორი აკადემიკოსი პეტრო კონონენკოა. ამ ურთიერთობას მხოლოდ ლიტერატურული მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ პოლიტიკურიც. ჩვენი მიზანია, ახალი თვალით დავინახოთ ეს ურთიერთობა“, — აღნიშნა ოთარ ბაქანიძემ.

უკრაინისტიკაში შეტანილი ღვაწლისთვის აკადემიკოსი ოთარ ბაქანიძე, რომელიც ამ დამსახურებისთვის ისედაც მრავალი ჯილდოს მფლობელია, ამჟამად კიევის ნაციონალურმა ინსტიტუტმა წარჩინების მედლით დააჯილდოვა. მედალი მას უკრაინის ელჩმა საქართველოში ვასილ ციბენკომ გადასცა.

მისი ინფორმაციით, ამჟამად თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის უკრაინისტიკის ინსტიტუტი სხვადასხვა საინტერესო პროექტზე მუშაობს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა კი ქართულ-უკრაინული ლექსიკონის გამოცემაა, რომელიც, სამწუხაროდ, დღემდე არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ უკრაინისტიკაში შეტანილი ღვაწლისთვის აკადემიკოსი ოთარ ბაქანიძე, რომელიც ამ დამსახურებისთვის ისედაც მრავალი ჯილდოს მფლობელია, ამჟამად კიევის ნაციონალურმა ინსტიტუტმა წარჩინების მედლით დააჯილდოვა. მედალი მას უკრაინის ელჩმა საქართველოში ვასილ ციბენკომ გადასცა.

ცნობისთვის

საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ოთარ ბაქანიძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 1952 წლიდან მოღვაწეობს. 1972-1976 წლებში იგი ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი იყო, ეროვნულ ურთიერთობათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრას 1975-2005 წლებში ხელმძღვანელობდა, 1977 წლიდან იყო სლავისტიკის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი, კლუბ „უკრაინის“ (1971 წ.) და ასოციაცია „საქართველო-უკრაინის“ (1992 წ.) დამაარსებელი და პრეზიდენტი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის პრეზიდენტია 2002 წლიდან, 2005-2007 წლებში მეცნიერი რუსისტიკის, სლავმცოდნეობისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის დირექტორის თანამდებობაზე მუშაობდა, 2007 წლიდან დღემდე კი ბატონი ოთარი უკრაინისტიკის ინსტიტუტის დირექტორია.

მეცნიერის ინტერესების სფერო ფართოდ და მრავალისმმცველია. იგი მოიცავს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, ქართულ-უკრაინულ, ქართულ-რუსულ, ქართულ-ბელორუსულ, ქართულ-პოლონურ ლიტერატურულ ურთიერთობებს, რუსული ლიტერატურის ისტორიას, უკრაინული ლიტერატურის ისტორიას, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის თეორიის საკითხებს და სხვა. ამ საკითხების კვლევას მიეძღვნა მისი მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები. მისი დამსახურებაა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის უმნიშვნელოვანესი დარგების — თარგმანმცოდნეობისა და ლიტერატურული კომპარტივისტიკის — მეტად მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიმართულებისა და სასწავლო ცენტრის შექმნა.

ცალკე უნდა აღინიშნოს მისი ფუნდამენტური გამოკვლევა — „ქართულ უკრაინული ლიტერატურული და თეატრალური ურთიერთობანი“. წიგნი გამოიცა უკრაინულ, ქართულ და რუსულ ენებზე. კონკრეტულ მაგალითებზე დაყრდნობით ნაშრომში მთავარი ყურადღება ეთმობა გამოჩენილი ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების: ნიკო ლომოურის, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ცხოვრება-მოღვაწეობის კავშირ-ურთიერთობებს უკრაინასა და უკრაინულ ლიტერატურასთან. ცალკე თავებია მიძღვნილი კავკასიაში ჩამოსახლებულ უკრაინელ მოღვაწეებზე — მიკოლა გულაკზე და ოლექსანდრ ნავროცკიზე, რომლებიც უკრაინელთაგან პირველნი შეეცადნენ „ვეფხისტყაოსნის“ უკრაინულ ენაზე თარგმნას. წიგნის მეორე ნაწილი ეძღვნება ქართულ-უკრაინულ თეატრალურ-დრამატურგიულ ურთიერთობებს.

გამოჩენილი უკრაინელი მეცნიერი, უკრაინული ლიტერატურათმცოდნობის პატრიარქი, უმაღლესი სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი ევგენ კირილიუკი თავის სტატიაში „ჭეშმარიტი მეგობარი“ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მკვლევარს ოთარ ბაქანიძეს „უკრაინისა და უკრაინული ლიტერატურის ჭეშმარიტ მეგობარს“ უწოდებს და აღნიშნავს, რომ „ახალგაზრდა მკვლევრის მოღვაწეობა უკრაინელი და ქართველი ხალხების ურღვევი მეგობრობისა და ძმობის აქტიური ქომაგის სანიმუშო მაგალითია“.

ბოკლედ

იაპონიის ცენტრის თანადგომა იაპონელ ხალხს

8 აპრილს თსუ-ის ,,იაპონიის ენისა და კულტურის ცენტრის” ორგანიზებით გაიმართა იაპონიის ,,ცუნამის ტრაგედიისადმი” მიძღვნილი ღონისძიება. ცენტრის მოწვევით ღონისძიებას დაესწრნენ საქართველოში იაპონიის საელჩოს წარმომადგენელი რიცუკო ინოუე, იაპონელი პროფესორი, ,,იაპონური ფონდის” ექსპერტი იუკი მორი, თსუ-ის იაპონისტიკის მიმართულების ხელმძღვანელი ნანა გელაშვილი, მიმართულების პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები. იაპონისტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა ნანა გელაშვილმა თავის მისასალმებელ სიტყვაში გამოთქვა მწუხარება და თანადგომა იაპონელი ხალხისადმი. ღონისძიებაზე სტუდენტებმა წარმოადგინეს იაპონურ ენაზე სიმღერები და ლექსები. დაიგეგმა ,,იაპონურ ფონდთან” ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციის გამართვა იაპონიის ისტორიისა და კულტურის თემაზე.

შეხვედრაზე წარმოდგენილი იყო სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენაც. აღსანიშნავია ნორჩი მხატვრის, 195-ე საჯარო სკოლის მოსწავლის, 15 წლის ლუკა კიკნაძის რამდენიმე ნამუშევარი, რომელზეც იაპონელი ქალები ეროვნულ სამოსში იყვნენ წარმოდგენილნი.

ლუკა კიკნაძე 3 წლის ასაკიდან ხატავს. იგი იაპონურმა თემატიკამ 9 წლის ასაკიდან გაიტაცა მას შემდეგ, რაც იაპონურ კინოხელოვნებას ეზიარა. იაპონელების ,,ცუნამის ტრაგედიას” მან ახლახან მიუძღვნა არა ერთი მხატვრული ტილო, რომელიც მის ვებ-გვერდზეცაა განთავსებული. უნივერსიტეტის ,,იაპონიის ენისა და კულტურის ცენტრში” ნამუშევრების გამოფენით იაპონელი ხალხის მიმართ პოზიცია პატარა მხატვარმაც დააფიქსირა. იაპონიის საელჩოს წარმომადგენელმა რიცუკო ინოუემ ნორჩი მხატვრის ნამუშევრების შეფასებისას აღტაცება ვერ დამალა და აღნიშნა, რომ 15 წლის ლუკა იაპონური კულტურის სიღრმეებს ჩასწვდა.

მათრახები უნივერსიტეტის იდეისათვის

მაია ტორაძე

სადა, უბრალო ინტერიერი... მეცნიერისთვის დამახასიათებელი სამუშაო გარემო, დიდი საწერი მაგიდა და გადაშლილი წიგნები... შვილებისა და შვილთაშვილების ფოტოებით მოფენილი წიგნის თაროები — ესაა ის მყუდრო სავანე, რომელშიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრი, უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, აკადემიკოსი ოთარ ჯაფარიძე ცხოვრობს. მისი მოღვაწეობა მეცნიერის ცხოვრების წესისთვის დამახასიათებელი ჩუმი სიდიადით და საქმისადმი დიდი სიყვარულით გამოირჩევა. ასეთივე ჩანს იგი საუბარში — თავმდაბალი, უშუალო, სიკეთით სავსე...

აკადემიკოს ოთარ ჯაფარიძის ღვაწლი არქეოლოგიის განვითარებაში დიდია. მისი ხელმძღვანელობით გათხრილმა სამაროვნებმა **და ყორღანებმა უამრავ ისტორიულ** ფაქტს თუ საიდუმლოს ახადა ფარდა და მეცნიერული მნიშვნელობა შესძინა. იმ უამრავ წიგნს შორის, რომელიც სხვადასხვა არქეოლოგიური ძეგლის შესწავლის საფუძველზე დაუწერია, თავად რამდენიმე გამოარჩია: „ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის“ (1976 წ.), „ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე“ **(1961 წ.), „ქართველი** ერის ეთნოგენეზის სათავეებთან“ (2006 წ.), „ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის **ძვ წ-აღ-ის III ათასწლეულში“ (1998 წ.), „საქართველოს ისტორიის** სათავეებთან, პირველყოფილი ეპოქა“ (2003 წ.).

ოთარ ჯაფარიძისთვის ყველა ქართული არქეოლოგიური ძეგლი მნიშვნელოვანია და ყველა სამეცნიერო კვლევა – დიდი შრომის ფასად მოპოვებული, მაგრამ ცხოვრების სასიამოვნო მოგონებად მაინც უნივერსიტეტის აუდიტორიებში და მეგობრებთან გატარებულ დროს მიიჩნევს.

ჩვენ მას საკუთარ სამუშაო კაბინეტში შევხვდით.

— ბატონო ოთარ, ჩვენთვის ცნობილია, რომ იმ პერიოდში, როცა თქვენ პროფესიის არჩევანი უნდა გაგეკეთებინათ, სკოლებში საქართველოს ისტორია არ ისწავლებოდა და, ბუნებრივია, ამ საგნისადმი განსაკუთრებული ინტერესი არ გექნებოდათ. როგორ მიხვედით იმ დასკვნამდე, რომ მომავალი თქვენი ქვეყნის ისტორიის შესწავლისთვის დაგეკავშირებინათ?

— სკოლაში ყველაზე სუსტად ისტორიას გვასწავლიდნენ. იყო ასეთი საგანი **„საზმეცი“ (საზოგადოებრივი მეცნიერებები), რ**ომელშიც ისწავლებოდა სენ სიმონიეს, შარლ ფურიეს **მოძღვრებები, რუსეთის ნაროდ**ნიკები და ა.შ. სკოლა ისე დავამთავრეთ, რომ წარმოდგენა არ გვქონდა არც თამარის, არც დავითის და არც სხვა ცნობილი მეფეების ეპოქების შესახებ. ამიტომ ჩემი და ჩემი მეგობრების არჩევანი სრულიად შემთხვევითი იყო.

მაშინ „მოდური“ გახლდათ სამედიცინო ფაკულტეტი. ყველა ჩემი მეგობარი იქ აბარებდა. დედა ექიმი მყავდა და უნდოდა, რომ მის კვალს გავყოლოდი. თანაც რთული და ავადსახსენებელი 30-იანი წლები იდგა და დედაჩემს, რომელიც რუსულენოვანი ებრაელი ქალი გახლდათ, რკინის ლოგიკა ჰქონდა, თუ რატომ უნდა ჩამებარებინა სამედიცინოზე. ის ხშირად იმეორებდა: „вот арестуют, врачом будещ“... თითქოს აუცილებლად უნდა დავეპატიმრებინე ვინმეს. ამგვარი პოზიცია მაშინ ერთგვარად გამართლებულიც იყო, რადგან ირგვლივ სულ **დაპატიმრების შესახებ** საუბრობდნენ.

1939 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხელოვნების ისტორიის ფაკულტეტზე გამოცხადდა მიღება და რამდენიმე მეგობარმა, მათ შორის, მარიკა ლორთქიფანიძემ და გივი კიღურაძემ, რომლებთან ერთადაც პირველი კლასიდან ვსწავლობდი, აქ შესვლა გადავწყვიტეთ....

დავიწყეთ სწავლა, მაგრამ, სამწუხაროდ, II კურსზე რომ ვიყავით, ომი დაიწყო და ხელოვნებისთვის აღარავის ეცალა (პირველ კურსზე 120 კაცი ჩავირიცხეთ, სახელმწიფო გამოცდა კი 6-მა ჩავაბარეთ). ამიტომ ჩვენ 1943 წელს სასწრაფოდ დაგვამთავრებინეს უნივერსიტეტი.

აი, ამ პერიოდიდან დაიწყო ჩემი დაინტერესება არქეოლოგიით. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ ისტორიის სხვადასხვა დარგის პროფესორებმა ასპირანტურაში დარჩენა შემოგვთავაზეს. ჩვენ რომ ერთმანეთისთვის ხელი არ შეგვეშალა, სხვადასხვა მიმართულებით წავედით. მე არქიტექტურაში ბატონ გიორგი ნიორაძესთან, მარიკა ლორთქიფანიძე — საქართველოს ისტორიაში სიმონ ჯანაშიასთან, გივი კიღურაძე კი — ახალ ისტორიაში პროფესორ ალექსანდრე ნამორაძესთან.

— როგორ გახსენდებათ სკოლაში სწავლის პერიოდი, რეპრესირებულთა ოჯახის შვილებთან ურთიერთობა?

— მძიმე წლები იყო. მახსოვს, რომ ტალონებით გვქონდა საჭმელი და ტანსაცმელიც კი. მერე დაიწყო **1937-1938-იანი წლ**ების საშინელება. ჩვენ მაშინ უკვე 17-18 წლის ვიყავით, გაზეთებსაც ვკითხულობდით და ამიტომ კარგად მახსოვს რეპრესიის წლები. ბევრი ჩვენი მეგობრის მშობელი დაიჭირეს სხვადასხვა მიზეზით. მაგალითად, გივი კიღურაძის მამას, რომელიც თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე იყო და ნატახტარის წყალსადენის მშენებლობას ხელმძღვანელობდა, ბრალად წაუყენეს ნატახტარის წყლის მოწამვლა. მაშინ დაიჭირეს მარიკა ლორთქიფანიძის მამაც, არაჩვეულებრივი პიროვნება, რომელიც ვერა და ვერ შეეგუა კომუნისტების მთავრობას და ემსხვერპლა კიდეც მათ.

ჩვენ მოვახერხეთ კარგი სამეგობრო წრის შეკვრა. არ მოგვწონდა მაშინდელი პროცესები და ამის შესახებ ერთმანეთშიც უშიშრად ვსაუბრობდით, რადგანაც ერთმანეთს ვენდობოდით.

— თქვენი თაობა, მძიმე წლების და ცხოვრების პირობების მიუხედავად, მაინც ბედნიერია, რადგან უნივერსიტეტში მეცნიერების კორიფეებთან გქონდათ შეხება. ვის გაიხსენებთ მათ შორის?

— ლექციებს მართლაც კორიფეები გვიკითხავდნენ. მარტო ის რად ღირდა, რომ ჩვენ მოვესწარით ივანე ჯავახიშვილის ლექციებს. იგი, მართალია, უკვე აღდგენილი იყო უნივერსიტეტში, მაგრამ ისტორიის საათებს მაინც არ აძლევდნენ. ამიტომ იურიდიულზე კითხულობდა ქართულ სამართალს. ჩვენ, ვინც ვიცოდით, ვინ იყო ივანე ჯავახიშვილი, ხშირად შევდიოდით მის ლექციებზე. მახსოვს, რომ აუდიტორია ძალიან დიდი იყო და უკანა რიგებში მისი ხმა არ ისმოდა, თანაც ბატონი ივანე ძალიან ხმადაბლა საუბრობდა. ჩვენ სულგანაბული ვუსმენდით ამ დიდ ადამიანს. შემოვიდოდა, დადებდა თავის დიდ ჩანთას და იწყებდა ლექციის მშვიდად კითხვას.

— რომელი იყო თქვენი პირველი კვლევა, რომელმაც მეცნიერებაში გზა გაგიკვალათ?

— ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო პროფესორი გიორგი ნიორაძე — არქეოლოგი, თავისი საქმის მოყვარული და თავდადებული პიროვნება, რომელმაც ხარაგაულის რაიონში აღმოაჩინა პირველყოფილი ადამიანების სადგომი — „დევის ხვრელი“. იგი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში არქეოლოგიის განყოფილების გამგედ მუშაობდა და როცა მე ასპირანტურის მეორე კურსზე ვიყავი, მუზეუმში მეცნიერ-თანამშრომლად მუშაობა შემომთავაზა. მანვე მომიწვია 1949 წელს უნივერსიტეტში აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტზე ლექციების წასაკითხად. მას შემდეგ უნივერსიტეტს არ მოვცილებივარ. ბატონი გიორგი 1951 წელს გარდაიცვალა და მისი საქმიანობა უნივერსიტეტში მე გავაგრძელე.

რაც შეეხება სამეცნიერო მუშაობას — ის, ძირითადად, კავკასიის და საქართველოს ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ კვლევას შეეხებოდა. ბატონ გიორგის ძალიან უნდოდა, რომ მე ქვის ხანის სპეციალისტი ვყოფილიყავი და მეორე „დევის ხვრელი“ აღმომეჩინა, მაგრამ იმდენად გამიტაცა ბრინჯაოს ხანამ, რომ ამ მიმართულებით წავედი. საერთოდ, კავკასიაში ბრინჯაოს დაწინაურებული მეტალურგია ჰქონდათ. ამიტომ, როცა გავეცანი ბრინჯაოს ნივთებს, დამაინტერესა და გათხრებიც ძირითადად ამ პერიოდის ძეგლებზე ვაწარმოვე. მართალია, სხვა პერიოდის ძეგლებიც გამითხრია, მაგალითად, თბილისში ე.წ. განჯისკარი, ასევე, ანტიკური პერიოდის ძეგლები — რომაული პერიოდის სამაროვანი, მაგრამ, ძირითადად, მაინც ბრინჯაოს ხანაზე ვიმუშავე.

ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურა. აქ გავთხარე ყორღანი — უზარმაზარი, 100 მეტრის დიამეტრის სამარხი, რომელზეც ამოყვანილი იყო 8-10 მეტრის ქვაყრილი. ეს სამარხები დმანისის რაიონში ერთ-ერთ პლატოზე მდებარეობდა. იცით ალბათ, რომ ამ ტიპის სამარხი არის 150-170 კვადრატული მეტრის დარბაზი, რომელშიც საზოგადოების დაწინაურებულ წევრებს ასაფლავებდნენ. პირველად ეს კულტურა 1936-1940 წლებში გაითხარა. მაშინ, **ხრამჰესის მშენებლობა**სთან დაკავშირებით, წყლის ქვეშ ექცეოდა წალკის პლატოს დიდი ნაწილი და ამიტომ ივანე ჯავახიშვილის წინადადებით შეიქმნა არქეოლოგიური ექსპედიცია, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა პროფესორ ბორის კუფტინს. **მან გათხარა ყორღანული სამარ**ხები, სადაც **აღმოაჩინა ძველი წელთაღრიცხ**ვის მეორე ათასწლეულის I ნახევრის – 1800-1700 წლების ოქრომჭედლობის ნაწარმი. ეს სენსაციური აღმოჩენები იყო. მეც ამ გზას გავყევი და კარგა ხანს ვიმუშავე თრიალეთის კულტურის ყორღანების გათხრებზე.

ამის შემდეგ მესხეთში ვიმუშავე და ვარძიის თავზე მდებარე ნიალის ველის ამავე პერიოდის ძეგლები შევისწავლე. ასევე მიხდებოდა აფხაზეთის ტერიტორიაზე მუშაობა, სადაც 1955-1956 წლებში გავთხარე ე.წ. დოლმენები, ანუ სამარხები, რომლებიც მიწის ზემოთ იგებოდა (დოლმენი დიდი ბრტყელი ქვისგან შეკრული ყუთია. მას წინ ხვრელი აქვს და ქვითვეა გადახურული. ამგვარი სამარხები საქართველოში მხოლოდ აფხაზეთში გვხვდება). მაშინ ერთ-ერთი დოლმენი წამოვიღე კიდეც და დღეს მუზეუმში ინახება.

ბოლო გათხრები თბილისთან ახლოს, მარტყოფში ვაწარმოვე. აქ გაითხარა უზარმაზარი ყორღანი — 12 მეტრი სიმაღლის ქვაყრილი (აქვე გეტყვით, რომ სამგორის დასახელება სწორედ ამ სამი გორიდან მომდინარეობს. ეს გორები არის 3 ყორღანი, რომელთაგან ერთ-ერთი გიორგი ნიორაძემ გათხარა). ესეც ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის პერიოდის საზოგადოების დაწინაურებული ფენის საფლავებია.

— რა შეგრძნებაა, როცა რაღაცას აღმოაჩენ, როცა მეცნიერულად ადასტურებ შენი ქვეყნის მდიდარ ისტორიულ წარსულს?

მე-12 გვერდზე

რა შემთხვევაში დავკარგავთ ენას ურუსეთოდაც

მესამე გვერდიდან

ენათმეცნიერების ინსტიტუტმა, ნორმათა დადგენის თვალსაზრისით, რა გააკეთა; რამდენად იქნა დაცული ქართული ენის ინტერესები; ქართულ ენაზე რამდენი წიგნი დაიბეჭდა; რა აქციები ჩატარდა და ა.შ. და ეს საქმიანი ანგარიში უნდა წარმოადგინონ 14 აპრილს იმ დაწესებულებებმა, რომელთაც ქართული ენის სიწმინდის დაცვა ხელეწიფებათ“ (მაგალითად, ტელევიზია, პრესა როგორ უფრთხილდება სალიტერატურო ენას).

ფარატინა ქაღალდი

ის ღონისძიებები, რაც ენის დაცვისთვის უნდა გატარებულიყო, იმ დროსაც ცოტა ფორმალური იყო და არნოლდ ჩიქობავას მონოდებაც ლამის „ფარატინა ქაღალდად“ იქცა, რადგან საქართველოს ტერიტორიის მოზრდილ ნაწილზე, იქ, სადაც სხვა ერების კომპაქტური დასახლება არსებობდა, მაღაზიაში რომ შესულიყავით, ქართულ ენაზე პასუხს არავინ გაგცემდათ... ახლაც, ვაგლახ, უკეთესი მდგომარეობა არ არის. ცოტა შეიძლება გაუმჯობესდა, მაგრამ, აბა, ჩადით ჯავახეთში და ნახეთ, რამდენად ფუნქციონირებს იქ ქართული, როგორც სახელმწიფო ენა. რასაკვირველია, ჯადოსნური კვერთხის დაქნევით ეს ერთ დღეში გადასაწყვეტი საკითხი არ არის, მაგრამ მუშაობაა საჭირო. ამ თვალსაზრისით, სასიკეთო ნაბიჯები, განსაკუთრებით სკოლებში, თითქოსდა გადაიდგა. სკოლა ინახავს, გარკვეული აზრით, ენას და სახელმწიფო ენის ცნებას, მაგრამ საქმის წარმოებაც აუცილებლად ქართულ ენაზე უნდა მიმდინარეობდეს. ჩურჩული და რაღაც ნიადაგის მომზადება იმისთვის, რომ სკოლებში, დაწყებით კლასებში, რამდენიმე საგნის სწავლება ინგლისურ ენაზე დავიწყოთ, თავიდანვე აღსაკვეთია. ასე მოინდომეს ადრეც რუსულად ჩატარებულიყო რამდენიმე ლექცია უნივერსიტეტშიც და მაშინ ქართული სტუდენტობა, უპირველეს ყოვლისა კი ჩვენ, თანამშრომლები, წინ აღვუდექით ამგვარ უმსგავსობას. ასე უნდოდათ ბილინგვიზმის (ორენოვნება) შემოპარება საქართველოში, რის შემდეგაც ერთი ნაბიჯიღა რჩება ქართულის გაქრობამდე. წარსულს უნდა ჩაბარდეს ის დრო, როდესაც ადამიანი კარიერას ვერ გაიკეთებდა, თუ ე.წ. უაქცენტო რუსულით არ ილაპარაკებდა. ამიტომ ქართული ენისათვის მხოლოდ სახელმწიფო ენის სტატუსის მიკუთნება პრობლემის საბოლოოდ გადაწყვეტა არ გახლავთ. საქმეა საჭირო, ქმედებაა საჭირო, რათა ქართული ენა ჩვენი სახელმწიფოს მასშტაბით იქცეს მართლაც სახელმწიფო ენად.

„დედა ენის საზოგადოება“

რამდენიმე თვის წინ შევქმენით არასამთავრობო ორგანიზაცია „დედა ენის საზოგადოება“ (რამდენიმე კაცი ვართ დამფუძნებლები). ამ ეტაპზე ვამზადებთ ნიადაგს იმისთვის, რომ ქმედითი პროექტები შევიმუშაოთ დედა ენის ფუნქციის განსამტკიცებლად და ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის რეალურად ხორცშესხმისთვის. დედა ენის ასოციაციების შექმნა, თავისთავად, არ გვიშველის, თუ არ ვიმუშავეთ. გარკვეული წინადადებების დაყენებაც არის საჭირო, რათა ენის პალატის ზოგიერთი ფუნქცია აღდგეს, რომელიც გააუქმეს. ვფიქრობ, არ იყო გასაუქმებელი არც ენის პალატა და არც ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია. ეს ტენდენცია არ შეუწყობს ხელს ქართული ენის განმტკიცებას, პირიქით, მგონია, ზოგჯერ სჯობს, ვაღიაროთ ჩვენი დაშვებული შეცდომა და გამოვასწოროთ იგი. მართალია, ეს გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაგრამ სწავლისთვის, განათლებისა და დედა ენის გაფრთხილებისთვის როგორც კი დავზოგავთ ფულს, შემდეგ ათმაგის გადახდა მოგვიწევს ჩვენი უწიგნურობისა და უვიცობისთვის. ამიტომ სჯობს, რომ ახლა გავიჭირვოთ და ეს ინსტიტუტები აღვადგინოთ.

ესაუბრა: ნინო კაკულია

წამები, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი სამყარო

საჯარო ლექცია CERN-ზე და არა მხოლოდ...

ლექციის ჩატარების იდეა 3 წლის წინ გაჩნდა. მაშინ ლექტორმა, პროფესორმა ჯემალ ხუბუამ „საბავშვო უნივერსიტეტის“ ფარგლებში ჩატარებულ ლექციაზე ბავშვებს მისცა უმარტივესი ფიზიკური ამოცანა, რომელიც ვერავინ ამოხსნა. ამ შემთხვევამ იგი სკოლებში ფიზიკის ცოდნის დაბალ დონეზე დააფიქრა და გადააწყვეტინა, გაეღვივებინა ფიზიკისადმი ინტერესი და აქტიურად ჩართულიყო სასკოლო პროგრამების შედგენის პროცესში.

ამჯერად მან უნივერსიტეტის სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს ევროპის ბირთვულ ცენტრში მდებარე დიდ ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე ექსპერიმენტი დაწვრილებით გააცნო.

მაია ტორაძე

აჟიოტაჟი, რომელიც ევროპის ბირთვულ ცენტრში (CERN) აგებული დიდი ადრონული კოლაიდერის ექსპლუატაციაში გაშვებას მოჰყვა, ნელ-ნელა ჩაცხრა, რადგან მეცნიერებმა მსოფლიოს დაანახეს ამ ექსპერიმენტის უსაფრთხოება და მნიშვნელობა. მიუხედავად იმისა, რომ კოლაიდერზე ჯერ ნაწილაკების მაქსიმალური ენერგია არ განვითარებულა, ექსპერიმენტი უკვე დაიწყო და სხვადასხვა ქვეყნის ფიზიკოსები მონაცემებს ყურადღებით აკვირდებიან.

კოლაიდერის თემატიკას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მიეძღვნა. ეს თემა მსჯელობის საგანი გახდა, ასევე, რამდენიმე საჯარო ლექციაზე, რომელსაც უნივერსიტეტის მეცნიერები კითხულობდნენ. მათ შორის, ვინც უშუალოდ იყო დაკავშირებული კოლაიდერის აგების პროცესთან, არის თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-მუშაკი, ფაკულტეტის მრჩეველი დიდ საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის საკითხებში, ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი CERN-ში, პროფესორი ჯემალ ხუბუა, რომელმაც 5 აპრილს სტუდენტებისა და დაინტერესებული აკადემიური პერსონალისთვის წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „წამები, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი სამყარო“.

ლექციაზე ბატონმა ჯემალმა დაწვრილებით მიმოიხილა კოლაიდერის სტრუქტურა, მისი აგების პროცესი, მოსალოდნელი შედეგები და ქართველი მეცნიერების წვლილი დიდ სამეცნიერო ექსპერიმენტში.

ჩვენ დავინტერესდით, როგორ შეიძლებოდა მსმენელს გაეგო ლექციის სათაური: „წამები, რომელმაც გადაარჩინა მსოფლიო“. როგორც ბატონმა ჯემალმა აღნიშნა, ლექციაზე საუბარი იყო ზოგადად სამყაროზე, რომელიც ჩვენთვის მისაწვდომ ხილულ ობიექტებსა და პროცესებს მოიცავს. „სამყაროსთან მიმართებაში, მისი ცნების ჩამოყალიბებაში არის ორგვარი მიდგომა: ერთი — სამყაროს უწოდებენ ყველაფერს, რაც კი არსებობს ჩვენს ირგვლივ და მეორე, როგორც მიღებულია კოსმოლოგიაში და ასტრონომიულ მეცნიერებებში, სამყარო არის ის, რასაც ჩვენი კვლევები წვდება. ამ გაგებით, თუ ჩვენ სამყაროს უკან ვიგულისხმებთ იმ არეს, რომლის კვლევაც შეგვიძლია, მაშინ ეს ნიშნავს, რომ სამყარო შეიძლება იყოს სხვადასხვა. ლექციაზე საუბარი იყო მხოლოდ იმ სამყაროზე, რომლის კვლევის შესაძლებლობაც ჩვენ გვაქვს. რაც შეეხება სათაურის გაგებას — არსებობს უამრავი თეორია, როგორ წარმოიშვა ჩვენი სამყარო. ამოსავალი წერტილი არის დიდი აფეთქება, ანუ წამები, რომელმაც სამყარო შექმნა და გადაარჩინა. ამ ლექციაზე შევეცადე გადმომეცა ის ძირითადი მომენტები, რომელიც თან ახლდა სამყაროს განვითარებას დიდი აფეთქების შემდეგ, დაახლოებით, 15 მილიარდი წლის განმავლობაში. ამ პერიოდში სამყაროს ისტორიაში მოხდა ბევრი მოვლენა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკასთან. სწორედ ეს არის იმის წინაპირობა, რომ დღეს ამხელა ყურადღება ექცევა მაღალი ენერგიების ფიზიკას და ამაჩქარებლების შექმნას, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გამოვიკვლიოთ, რა ხდება სამყაროში მაღალ ენერგიებზე. დღეისათვის ცნობილია, რომ დიდი ადრონული კოლაიდერი, რომელიც CERN-ში ამოქმედდა, თავისი ენერგიით სამყაროს წარმოშობიდან ათი მინუს მეთორმეტე ხარისხში წამის დროს შეესაბამება. ამდენად, ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ვუახლოვდებით დიდ აფეთქებას და ვცდილობთ, აღვადგინოთ ის სურათი, რომელიც განვითარდა დიდი აფეთქების შემდეგ“, — გვითხრა ბატონმა ჯემალმა.

საჯარო ლექციაზე ყურადღება გამახვილდა ადრონულ კოლაიდერზე მიმდინარე ექსპერიმენტის დღევანდელ მონაცემებზე. აღინიშნა, რომ კოლაიდერის გაშვება თავისთავად დიდი მიღწევაა, რადგან ასეთი დონის ამაჩქარებელი ჯერ არ შექმნილა. მიუხედავად იმისა, რომ მის ექსპლოატაციაში გაშვებას შემაფერხებელი პროცესები მოყვა და საბოლოოდ დაგეგმილ ენერგიამდე მეცნიერები ჯერ ვერ მივიდნენ, მაგრამ უკვე არსებობს მონაცემები, რომელიც მომავალში ბევრ სამეცნიერო აღმოჩენას ჩაუყრის საფუძველს.

„იმ მილიარდობით ნაწილაკის ნაკადის დაჭერა, რომელიც მოცემულ ორბიტაზე მოძრაობს, მარტივი არ გახლავთ. ეს ნაწილაკები მიკრონის სიზუსტით მოდიან. მათი ამავე სიზუსტით დაკავება (ისინი 27 კმ-ზე მოძრაობენ) და ინტენსივობის გაზრდა რთული ამოცანაა. ამიტომ კოლაიდერის ტექნიკურ უზრუნველყოფას დიდი დრო დასჭირდა. ჯერჯერობით ფანტასტიკური აღმოჩენა არ გაკეთებულა, რადგანაც აღმოჩენები ასე ადვილად არც ცვივა და მას, აღმოჩენის შემთხვევაშიც კი, დაზუსტება სჭირდება, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ენერგიები, რომელიც აქ ჩანს, რეკორდულია და აღმოჩენები აუცილებლად იქნება“, — განაცხადა ჯემალ ხუბუამ.

ამ ლექციით დაინტერესებულ ახალგაზრდებს კიდევ უფრო გაუღვივდათ ფიზიკისადმი ინტერესი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მათი რიცხვი დიდი არ იყო, რაც ფიზიკის მიმართულებაში არსებულ პრობლემებზე გვაფიქრებინებს.

„მიუხედავად ჩემი პატივისცემისა და ნებისმიერი სახელმწიფოს საჭიროებისა მეცნიერების ისეთი დარგების მიმართ, როგორიცაა ეკონომიკა და სამართალმცოდნეობა, ჩემში გაკვირვებას იწვევს ქართველი ახალგაზრდების განსაკუთრებული დაინტერესება მოცემული მიმართულებებით. ყველაფრის მიზეზი, ალბათ, ახალგაზრდების სწავლის შემდეგ შრომითი მოწყობის შესაძლებლობებია, რაც იურისპრუდენციისა და ეკონომიკის სფეროებში უფრო მეტია. უნდა ვიცოდეთ, რომ ქვეყნის ადგილს მსოფლიო ცივილიზაციაში სწორედ ფუნდამენტური მეცნიერების განვითარების დონე განსაზღვრავს. კარგია, რომ პრეზიდენტმა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამა გამოაცხადა, მაგრამ ამას კარგად გააზრება სჭირდება. ჩემი აზრით, უნდა გაჩნდეს ახალგაზრდის დასაქმების პერსპექტივა, რადგან, რაც უნდა პროგრამები შევიმუშაოთ, თუ ახალგაზრდას არ ეცოდინება, რომ ამ მიმართულებით დასაქმდება და აქვე განახორციელებს კვლევას, მას პირდაპირ ვუბიძგებთ საზღვარგარეთ დასაქმებისკენ, სადაც ჩვენ ვაძლიერებთ გერმანიის, იტალიის, ავსტრიის და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებას. ამიტომ, მათ აქვე, ჩვენს ქვეყანაში უნდა მივცეთ განვითარების პერსპექტივა. ჩემი ლექციით ინტერესი გავუღვივე სტუდენტთა ნაწილს, მაგრამ ყველაფერი ფუჭია, თუ მათ მეცნიერებაში მომავალი ვერ დაინახეს. დიახ, აუცილებელია ახალგაზრდა წავიდეს უცხოეთში, მიიღოს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ნახოს, სად რა ხდება, ჩაერთოს ერთობლივ პროექტებში, მაგრამ რასაც იქ ნახავენ, თავის ქვეყანაში უნდა ჩამოიტანონ“, — განაცხადა ჯემალ ხუბუამ.

ლექცია — „წამები, რომელმაც გადაარჩინა ჩვენი სამყარო“ Youtube-ზეც განთავსდა და დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ მასალას, რომელმაც უნივერსიტეტში სტუდენტთა ნაწილის და აკადემიური პერსონალის დაინტერესება გამოიწვია.

იუგილე

ქართული ენის ქომაგი ისრაელში

ქართული ენის დიდ ქომაგსა და მოამაგეს, პროფესორ რეუვენ ენოხს (ისრაელში წასვლამდე, 1992 წლამდე — რუბენ ენუქაშვილს) დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა. იგი გახლავთ ისრაელის ქალაქ არიელის საუნივერსიტეტო ცენტრის პროფესორი და ისრაელის სახელმწიფო რადიო „კოლ ისრაელის“ („ისრაელის ხმა“) ქართულენოვან რადიოგადაცემათა რედაქციის ხელმძღვანელი.

რუბენ ენუქაშვილი დაიბადა 1946 წელს ქ. ქუთაისში. 1964 წელს ოქროს მედლით დაამთავრა საშუალო სკოლა ქუთაისში და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე; სწავლობდა ქართველურ ენათა განყოფილებაზე, იყო აკადემიკოს ვარლამ თოფურიას სახელობის სტიპენდიატი და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. 1969 წელს მან წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი და იმავე წელს ჩაირიცხა ასპირანტურაში ძველი ქართული ენის სპეციალობით. 1974 წლის თებერვალში დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. დაცვის დროს სიტყვით გამოვიდა აკაკი შანიძე, რომელიც კათედრის მხრიდან ნაშრომის რეცენზენტი გახლდათ და განაცხადა: შესაძლებელი რომ იყოს პირდაპირ სადოქტორო ხარისხის მინიჭება, თავისუფლად შეიძლებოდა ამის გაკეთება წარმოდგენილი ნაშრომისთვისო. უკვე 1970 წლიდან რუბენი მუშაობდა მაშინდელ პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, როგორც ლექტორი, და მალე მოიხვეჭა პოპულარობა, რომელიც მას შემდგომშიც არ მოჰკლებია არც საქართველოში და არც ისრაელში. 1975 წლიდან რუბენ ენუქაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის დოცენტი გახდა. დიდი ხნის განმავლობაში, 1980-1992 წლებში იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობის დროს რუბენი გახდა ძველი ქართული ენის, განსაკუთრებით კი ბიბლიური წიგნების აღიარებული მკვლევარი. მან გამოაქვეყნა რამდენიმე საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი მათი ლექსიკის შესახებ. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა დიდტანიანი წიგნი „ახალი აღთქმის წიგნთა (სამოციქულოს) ძველი ქართული ვერსიების სიმფონია-ლექსიკონი“, რომელიც რეუვენ ენოხმა ლ. ბარამიძესა და თ. მეტრეველთან ერთად დასაბეჭდად გაამზადა ჯერ კიდევ საქართველოში ცხოვრების დროს. 2009 წელს ამ წიგნმა, ბოლოს და ბოლოს, იხილა მზის სინათლე უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევითა და ხელშეწყობით და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეგიდით. ეს არის უმაღლესი დონის მეცნიერული ნაშრომი, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევს ბიბლიოლოგიური კვლევის წინსვლას. რუბენი მუშაობდა ძველი ქართული ტექსტების გამოცემაზეც, კერძოდ, იგი მონაწილეა უმნიშვნელოვანესი ძეგლის „უდაბნოს მრავალთავის“ გამოცემისა. ფრიად საყურადღებოა ბატონი რუბენის ნაშრომები „ვეფხისტყაოსნის“ ენის საკითხებზე, ქართული ზმნის აგებულების შესახებ და სხვ. ძველი ქართული ენის შემსწავლელთათვის მნიშვნელოვანია რუბენ ენუქაშვილის ბროშურა „მეთოდური მითითებანი ძველ ქართულ ენაში“, რომელშიც ავტორმა წარმოაჩინა ახლებური მიდგომა განსახილველი საკითხებისადმი.

დგანან: ჯონდო მეტრეველი, რუბენ ენუქაშვილი, ლელი ბარამიძე და კორნელი დანელია
სხედან: ლევან კიკნაძე, ივანე იმნაიშვილი, აკაკი შანიძე და ზურაბ ჭუმბურიძე

პროფესორების იოსტ გიპერტსა და ზურაბ ჭუმბურიძესთან ერთად რუბენი გახლდათ კირკიტა რედაქტორი ივანე იმნაიშვილისა და ჩემი ავტორობით გამოსული წიგნისა „ზმნა ძველ ქართულში“. რუბენმა გამოაქვეყნა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი ქართული ზმნის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, რომელთაგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ სტატიები ხანმეტობის, აგრეთვე სტატიკური ზმნების შესახებ. რუბენ ენუქაშვილი თითქმის 20 წლის განმავლობაში კითხულობდა ქართული ენისა და ლიტერატურის სატელევიზიო კურსს (თამაზ კვაჭანტირაძის პარალელურად) და დიდად პოპულარულიც გახდა მთელ საქართველოში. აქვე აღვნიშნავ, რომ რუბენი, სწორედ მაშინ, პროფესორ კორნელი დანელიასა და სხვა რამდენიმე სპეციალისტთან ერთად ხმალამოღებული იბრძოდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში გამოცდების სისტემის შესაცვლელად და ტესტების დღევანდელისგან ოდნავ განსხვავებული სისტემის შემოსაღებად. მან მცირე ზომის სახელმძღვანელოც კი შექმნა მათთვის, ვისაც ტესტების სისტემით უნდა ჩაებარებინა გამოცდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.

რეუვენ ენოხმა საქართველოშივე დაიწყო ქართველ ებრაელთა სამეტყველო ენის შესწავლა. უნდა ითქვას, რომ მანამდე ჩვენში ამ სფეროს ნამდვილად არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. მოწმე ვარ რეუვენ ენოხის პირველი სამეცნიერო მოხსენებებისა ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ (1986-1989 წწ.) და იმ დიდი ყურადღებისა, რომელიც მათ დაიმსახურეს, რამდენადაც ამ მეტყველების შესწავლას ორი მხრივ აქვს უდიდესი მნიშვნელობა: ებრაელთა ენების კვლევისთვის და ქართული დიალექტოლოგიის განვითარებისათვის.

მე-11 გვერდზე

სტუდენტური გეოვიქტორინა 2011

თამარ დადიანი

8 აპრილს თსუ-ის გეოგრაფიის მიმართულებაზე სტუდენტური გეოვიქტორინა გაიმართა. სტუდენტები ერთმანეთს გეოგრაფიის ცოდნაში ეჯიბრებოდნენ. ასეთი ღონისძიება გეოგრაფიის სპეციალობის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისთვის პირველად მოეწყო.

გეოვიქტორინის ჟიურის წევრები იყვნენ გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორები: ნოდარ ელიზბარაშვილი (ჟიურის თავმჯდომარე), დალი ნიკოლაიშვილი, გიორგი დვალაშვილი, ლია მაჭავარიანი, ცეცილი დონაძე და ვაჟა ტრაპაიძე.

გეოვიქტორინაში 8 გუნდი მონაწილეობდა. თითოეული გუნდი 6 სტუდენტით იყო წარმოდგენილი. კითხვები გეოგრაფიის სხვადასხვა დისციპლინიდან იყო შერჩეული და შეძლებისდაგვარად ფიზიკური და საზოგადოებრივი გეოგრაფიის, აგრეთვე, კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის საკვანძო საკითხებს მოიცავდა. პასუხის მოფიქრების დრო და მაქსიმალური ქულების რაოდენობა, კითხვების სირთულის შესაბამისად, განსხვავებული იყო.

გეოვიქტორინაში მონაწილეობდნენ გუნდები — „კავშირი კოსმოსთან“ (გუნდის კაპიტანი — დემეტრე მოდებაძე, წევრები: ნიკა დვალი, მარი სოხაძე, თამარ კევლიშვილი, ბეჟან თევდორაშვილი, ნიკო გაფრინდაშვილი), „ელიფსი“ (გუნდის კაპიტანი — გიორგი თოდაძე, წევრები: ნათია აკობია, ხატია ხეჩოშვილი, გიორგი გულიაშვილი, ვანო ლომიძე, თორნიკე კუტალაძე), „ამეთვისტო“ (გუნდის კაპიტანი — ელისაბედ ავალიანი, წევრები: ბიძინა ჩანქსელიანი, ლევან ორდენიძე, ზურაბ ლობჟანიძე, იოსებ ლაზარაშვილი და დავით ასრიაშვილი), „მისტრალი“ (გუნდის კაპიტანი — გიორგი მელიქიშვილი, წევრები: ავთანდილ ცისკარიშვილი, მიხეილ ტეფნაძე, მიხეილ ნიკურაძე, შოთა ვაშალომიძე, ნათია ხუროშვილი), „შაშარნი“ (გუნდის კაპიტანი — მარიამ გაგოშაშვილი, წევრები: შორენა ბალავაძე, რომან კუმლაძე, გვანცა ზაქარეიშვილი, მიხეილ მრელაშვილი, მარიკა ბასილაძე), „ტორნადო“ (გუნდის კაპიტანი — თორნიკე სამხარაძე, წევრები: თინათინ ბირბიჩაძე, გივი მედვედევი, თორნიკე თოღუზაშვილი, ანა ჭიჭაღუა, ნათია ოქრიაშვილი), „გეოიდი“ (გუნდის კაპიტანი — ონისე აფხაზავა, წევრები: სალომე ჩერქეზია, შორენა შარტავა, სალომე ცოცხალავილი, გიორგი ლაცაბიძე, გიორგი ლურსმანაშვილი) და „Orange Geography“ (გუნდის კაპიტანი — პაატა დვალაძე, წევრები: ოთარ ქურციკიძე, ნინო ზარაქაშვილი, აპოლონ ფაჩულია, სოფო სამადაშვილი, რუსუდან ხურცილავა).

გუნდმა „ამეთვისტომ“ 50,5 ქულა დააგროვა და, შესაბამისად, I ადგილი მოიპოვა. გუნდის კაპიტანმა ელისო ავალიანმა გუნდი ისეთი სტუდენტებით დააკომპლექტა, რომლებიც მაღალი მოსწრებითა და რაც შეიძლება მეტი განათლების მიღების სურვილით გამოირჩევიან. გამარჯვებული გუნდის სტუდენტები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სტუდენტურ კონფერენციებში, მოპოვებული აქვთ საპრიზო ადგილები. ზოგიერთ მათგანს საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებსა და ექსპედიციებში აქვთ მიღებული მონაწილეობა. გუნდის ყველა წევრი კარგად ფლობს გეოინფორმაციულ სისტემასა და უცხო ენას.

„მადლობა ყველას, ვინც იდეის განხორციელებაში დაგვეხმარა, გეოვიქტორინაში მონაწილე ყველა გუნდი კარგად მომზადებული და ორგანიზებული იყო. ღირსეული კონკურენტები გვყავდა და ღირსეულად გავიმარჯვეთ. ასეთი სახის კონკურსები მიღებული ცოდნის შეფასებასა და განმტკიცებაში დაგვეხმარება“, — განაცხადა გუნდი „ამეთვისტო“-ს კაპიტანმა ელისაბედ ავალიანმა.

II ადგილის მფლობელი გახდა გუნდი „ელიფსი” 41,5 ქულით. საინტერესოა, რომ ამ გუნდში ყველა სტუდენტი პირველკურსელი იყო და ქულების საერთო რაოდენობით უფრო მაღალი კურსებით დაკომპლექტებულ სხვა გუნდებს აჯობეს, რაც გუნდი „ელიფსის“ წევრების კარგ გეოგრაფიულ განათლებაზე მეტყველებს.

სულ რაღაც 0,5 ქულით ჩამორჩა მას გუნდი „Orange Geography“, რომელმაც გეოვიქტორინაში III ადგილი მოიპოვა.

როგორც ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, პროფესორმა დალი ნიკოლაიშვილმა აღნიშნა: „გეოვიქტორინაში მონაწილე სტუდენტები კარგად ფლობდნენ სასწავლო გეოგრაფიულ მასალას. ეს სტუდენტები სასწავლო-სააუდიტორიო მუშაობის დროსაც გამოირჩევიან თავიანთი აქტიურობით და საინტერესო შეკითხვებსაც სვამენ. გუნდის გამარჯვების წინაპირობა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა იმ ფაქტმაც, რომ მათ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გეოგრაფიის საგნის ჩაბარება მოუწიათ“.

გამარჯვებულ სტუდენტებს წამახალისებელი პრიზები — წიგნები და რუკები გადაეცათ. ამასთან, I ადგილზე გასული გუნდის ექვსივე წევრი გარკვეული ფინანსური მხარდაჭერით მონაწილეობას მიიღებს გეოგრაფიის მიმართულების მიერ 2011 წლის ზაფხულში დაგეგმილ ექსპედიციებში — თურქეთსა და სომხეთში. ისინი მოინახულებენ ტაო-კლარჯეთს, კაბადოკიას, თურქეთის შავი ზღვისპირა ზოლს, სევანის ტბას, შუა არარატის ქვაბულს, ქ. ერევანს, ეჩმიაძინსა და გიუმრის, ასევე, ჯავახეთის პლატოსა და აჭარას. გეოგრაფიული თვალსაზრისით ეს მეტად საინტერესო მარშრუტია, რადგან ეს ადგილები ხელუხლებელი ლანდშაფტებითაცაა გამორჩეული და ეროვნულ-კულტურული უიშვიათესი ძეგლებითაა წარმოდგენილი, ასევე, მრავალფეროვან და კონტრასტულ ბუნებრივ ზონებს მოიცავს.

ლაშა გახარიას ხსოვნის საღამო თსუ-ში

ნატო ოგოლაძე

„ეს გაუმარჯოს ერთი დიდგორით,
ყველა წაგებულ ომის მოგებას!“
ლაშა გახარია

„მოძღვარი ნათლია“ და „ბიბლია“ — ასე უწოდებდა პოეტი ლაშა გახარია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, სადაც მან უმაღლესი განათლება მიიღო. სტუდენტობის დროს სწორედ თსუ-ის ალამანახ „პირველ სხივში“ აქვეყნებდა იგი თავის ლექსებს. სამწუხაროდ, დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტობა ნაკლებად იცნობს ლაშა გახარიას შემოქმედებას. საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის პოეტის ლექსებისა და მისი პიროვნების უკეთ გაცნობის მიზნით თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ და გაზეთმა „ლიტერატურულმა სალონმა“ 30 მარტს ლაშა გახარიას ხსოვნის საღამო გამართა, სადაც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებმა პოეტის ლექსები წაიკითხეს. რამდენიმე სიმღერა შეასრულა თსუ-ის ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „უნივერსიტეტმაც“. ლაშა გახარიას მეგობრებმა და პოეტებმა კი მასთან გატარებული წლები გაიხსენეს და პოეტის შემოქმედებიდან რამდენიმე ლექსი წაიკითხეს.

ლაშა გახარიას პოეზიას თანამედროვე ქართველი შემოქმედები ისეთი დიდი პოეტების პოეზიის გვერდით აყენებენ, როგორიცაა გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი... აღსანიშნავია, რომ ლაშა გახარია ლექსებს მეგრულ ენაზეც წერდა.

„მიხარია, რომ ჩემთვის უსაყვარლესი, დიდი ქართველი პოეტის ლაშა გახარიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოს ორგანიზებაში მივიღე მონაწილეობა. ჩვენი შეკრების მთავარი მიზანი ახალგაზრდობისთვის ამ მართლაც გენიალური შემოქმედის უფრო კარგად გაცნობა გახლდათ. განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ქართული სიტყვის ნამდვილ მეჩუქურთმეს, ყველასათვის საყვარელ მსახიობს, ქალბატონ ელდინო საღარაძესა და მის მოსწავლეებს, რომლებმაც აქ შეკრებილ საზოგადოებას ლაშას ლექსის სიდიადე აგრძნობინეს. დარწმუნებული ვარ, დროთა შეუმცდარი სამსჯავრო ჯეროვნად დააფასებს მის პოეზიას და იგი ქართული ლიტერატურის მწვერვალზე ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს ისეთი ბუმბერაზი პოეტების გვერდით, როგორებიც არიან: გალაკტიონ ტაბიძე, ლადო ასათიანი, ტიციან ტაბიძე, ტერენტი გრანელი, ნიკო სამადაშვილი... გული მწყდება, რომ მეგრული არ ვიცი... ამით დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ვიკლებ, რადგან, როგორც თავად ლაშა ამბობდა, მისი ქართული ლექსები კოჭებამდეც ვერ ამოწვდება მის მეგრულ ლექსებს. უკანასკნელ პერიოდში, მწერლობაში დაძაბული სიტუაციის ფონზე, ეს საღამო მისწრება იყო. დღეს პოეტები დგანან სცენაზე და ლაშას ლექსებს კითხულობენ. ამაზე დიდი ესთეტიკა არ არსებობს. ლაშა გახარია თავის ერთ-ერთ შედევრში — ლექსში „პოეტი“ წერს: „პოეტი მაინც ერთი ლექსია“-ო. მე კი მინდა ვთქვა, რომ ლაშას ასეთი „ერთი ლექსი“ საკმარისზე მეტი აქვს, რაც საწინდარია მისი პოეზიის უკვდავყოფისა!“, — აღნიშნა საღამოს ორგანიზატორმა, პოეტმა ლექსო დორეულმა.

ლაშა გახარია 1947 წელს სოფელ მუხურში დაიბადა. მისი წერის სტილს პოეტები იდეალისტურს და რომანტიკულს უწოდებენ, თუმცა მის პოეზიაში პატრიოტული თემატიკაც აქტუალურია. პირველი კრებული — „მუზის პაუზა“ 2003 წელს გამოიცა. 2004 წელს კი უკურნებელი სენით შეპყრობილი ლაშა გახარია გარდაიცვალა. აღსანიშნავია, რომ პოეზიის პარალელურად იგი ჟურნალისტურ საქმიანობასაც ეწეოდა.

ქართული ენის ქომაგი ისრაელში

მეათე გვერდიდან

რეუვენ ენოხმა ისრაელში ინტენსიურად განაგრძო ამ სფეროში სამეცნიერო მუშაობა და ისრაელისა თუ საზღვარგარეთის პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოაქვეყნა ფრიად საყურადღებო სტატიები ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ. მან ისრაელის ერთ-ერთ სამეცნიერო ჟურნალში გამოაქვეყნა ვრცელი სტატია ქართველ ებრაელთა მეტყველების შესახებ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ეს სტატია უეჭველად უნდა ითარგმნოს და გამოიცეს ქართულად. ჩემი დიდი ყურადღება დაიმსახურა გერმანულ ჟურნალ „გეორგიკაში” გამოქვეყნებულმა მისმა სტატიამ ქართული ზმნის პირიანობის აღნიშვნის თაობაზე ქართველ ებრაელთა მეტყველების მაგალითზე, რომელშიც სრულიად ახლებურად არის დაყენებული ქართულ ზმნაში პირების აღნიშვნის შესაძლებლობათა საკითხი.

რუბენ ენუქაშვილის ყურადღების ცენტრში კვლავაც რჩება ქართული ენის საკითხები. სულ ორიოდე თვის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტის შრომების ტომში გამოქვეყნდა მისი ორი საინტერესო გამოკვლევა.

ცალკე უნდა აღინიშნოს რეუვენ ენოხის სამეცნიერო ინტერესების კიდევ ერთი სფეროს შესახებ – ესაა საქართველოსა და კავკასიის თანამედროვე ისტორიისა და ქართული სიონიზმის ისტორიის საკითხები. კერძოდ, აღსანიშნავია ფრიად საყურადღებო ნაშრომი პირველი ქართველი სიონისტის რაბინ დავიდ ბააზოვის ენობრივი პოზიციის შესახებ, რომელიც ქართულ ენაზე დაიბეჭდა საქართველოს ებრაელთა მუზეუმის შრომების კრებულში, და ზუსტი მეცნიერული დეფინიციებით გამორჩეული ნაშრომი ენობრივი პოლიტიკის შესახებ საქართველოში (“Central Asia and Caucasus”). საინტერესო დაკვირვებათა შემცველია აგრეთვე ნაშრომი თურქი მესხების ისტორიისა და თანამედროვე მისწრაფებათა შესახებ. ეს ნაშრომები სტოკჰოლმში გამოქვეყნდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ისტორიის უახლესი და ურთულესი პერიოდის შესახებ ღრმა ანალიზისა და ობიექტურ შეფასებათა შემცველი წიგნი Two Mirrors: Georgian Events of 1988-89 as Reflected in the Georgian and Central Soviet Mass Media (1998), რომელიც ინგლისურ ენაზე გამოქვეყნდა და ორჯერ გამოიცა მისი ქართული თარგმანი (2004 წელს ჟურნალ „განთიადის” რამდენიმე ნომერში და 2008 წელს საქართველოს ებრაულ გაზეთ „მენორას” რამდენიმე ნომერში).

ოსეთის ამბებთან დაკავშირებით საქართველოში ატეხილი ომის წინაპირობათა შესახებ რეუვენ ენოხმა ისრაელში ინგლისურ ენაზე გამომავალ პოლიტოლოგიურ ჟურნალში გამოაქვეყნა საყურადღებო დაკვირვებით აღსავსე ფრიად საინტერესო და აქტუალური სამეცნიერო ნაშრომი, რომელმაც მყისვე გამოიწვია დიდი ინტერესი, კერძოდ, გამოხმაურებანი ამერიკელ პოლიტოლოგთა მხრივ.

რეუვენ ენოხი ისრაელში ასვლის შემდეგაც რეგულარულად მოღვაწეობს საქართველოში ბოლო წლებში გამართულ თითქმის ყველა საერთაშორისო ფილოლოგიურ თუ საენათმეცნიერო კონფერენციაში (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ენათმეცნიერების ინსტიტუტში, ბათუმის უნივერსიტეტში და სხვ.). იგი აქტიური მონაწილეა აგრეთვე საზღვარგარეთ გამართული ქართველოლოგიური კონფერენციებისა (ლაიდენში, მაინის ფრანკფურტში და სხვ.). ასევე აღსანიშნავია, რომ ისრაელში გამართულ საერთაშორისო სიმპოზიუმებსა თუ პოლიტოლოგიურ კონფერენციებში იგი სისტემატურად წარადგენს მოხსენებებს, რომელთა ყურადღების ცენტრშია საქართველო, მისი ენა, ისტორია, თანამედროვეობა თუ კულტურა. მაგალითად, დიდი ყურადღება მიიპყრო იერუსალიმის უნივერსიტეტში გამართულმა საერთაშორისო სემინარმა, სადაც რუბენმა წაიკითხა მოხსენება ქართულ კინოხელოვნებაში საქართველოს წინა საუკუნის ისტორიის მოვლენათა ასახვის შესახებ თეიმურაზ აბულაძის ,,მონანიების” მიხედვით (შემდეგ ეს მოხსენება სტატიის სახით გამოქვეყნდა ივრითზე ისრაელის ერთ-ერთ სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალში).

რუბენის ყურადღება ნიუ-იორკის ქართველ ებრაელთა თემსაც სწვდება, საკმაოდ ხშირად ჩადის იქ მათი მიწვევით და კითხულობს მოხსენებებს ქართული კულტურის, ენისა და ლიტერატურის სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ რეუვენ ენოხი არ იფარგლება მარტოოდენ მეცნიერული მოღვაწეობით და დიდ მუშაობას ეწევა ებრაული კულტურის პროპაგანდისათვის საქართველოში და, პირიქით, ქართული კულტურის გასაცნობად ისრაელის საზოგადოებრიობისათვის. ამ მხრივ ფასდაუდებელია ის ღვაწლი, რომელსაც ბატონი რუბენი სდებს ისრაელის ქართულენოვან რადიოგადაცემებს, როგორც სათანადო რედაქციის ხელმძღვანელი. წლების განმავლობაში იგი გახლდათ ისრაელის ქართულენოვან ჟურნალ ,,დროშის” მთავარი რედაქტორი. ერთხანს თავის ქართულენოვან გაზეთსაც უშვებდა, მაგრამ შეწყვიტა იერუსალიმის უნივერსიტეტში მიწვევის გამო.

ცალკე უნდა გამოიყოს რეუვენ ენოხის მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მხედველობაში მაქვს ცნობილ ისრაელ პოეტ, პროფესორ ორციონ ბართანასთან ერთად გამოცემული კრებული გალაკტიონ ტაბიძის ლექსების თარგმანებისა ივრითზე (საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის თანადგომით). მათვე ისრაელის წამყვან ლიტერატურულ ჟურნალში გამოაქვეყნეს ლია სტურუას რამდენიმე ლექსის თარგმანი. თბილისში გამოიცა რუბენის მიერ თარგმნილი ვრცელი მოთხრობა ორციონ ბართანასი ,,დაფარული შუქი”, ისრაელში კი ქართულ ენაზე დაისტამბა რეუვენ ენოხის მიერ თარგმნილი ვრცელი შესავალი ამავე ავტორის დიდად საყურადღებო წიგნისა ებრაული ლიტერატურის შესახებ ,,საუკუნეთა მიჯნაზე”. თავის დროზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუბენის მიერ პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტებისათვის კოდუხოვის ,,ზოგადი ენათმეცნიერების” სახელმძღვანელოს თარგმნამ, რასაც ახლდა საინტერესო შენიშვნები და მაგალითები ქართული ენის სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით.

უნდა ითქვას, რომ რუბენი დიდ ყურადღებას აქცევს ისრაელის ქართულენოვანი კულტურული ინსტიტუტების მოღვაწეობას. მიუხედავად სამეცნიერო-პედაგოგიური და ჟურნალისტური საქმიანობით დიდი დაკავებულობისა, რუბენმა, როგორც რედაქტორმა, დიდი მუშაობა გასწია ისრაელის ქართულენოვანი თეატრის ცნობილი მსახიობისა და რეჟისორის დავით ხუბელაშვილის წიგნის – „ორ ქვეყანას გადაწვდენილი რამპის შუქი” – გამოსაცემად. წიგნში ავტორის მოგონებათა ფონზე წარმოდგენილია ისრაელის ქართულენოვანი თეატრის მრავალმხრივ საყურადღებო მოღვაწეობა და იგი სავსებით სამართლიანად არის შეფასებული, როგორც ქართული კულტურის საინტერესო შენაკადი.

რეუვენ ენოხის (რუბენ ენუქაშვილის) მეცნიერულ მიღწევათა ღირსეული აღიარებაა ის ფაქტი, რომ ისრაელში 2010 წელს იგი შეიყვანეს სხვადასხვა ქვეყნების საუკეთესო მეცნიერთა ასეულში (ასეთი კი 22000-მდე მეცნიერია უკანასკნელ ორ ათეულ წელინადში) და მისი მეცნიერული ბიოგრაფია შეტანილია სპეციალურ წიგნში, რომელიც ამ მეცნიერთა პატივსაცემად გამოიცა.

სათქმელი კიდევ ბევრია, მაგრამ, ვფიქრობ, ნათელია, რომ რუბენ ენუქაშვილის სახით ქართულ კულტურას, ლიტერატურასა და, განსაკუთრებით, ქართულ ენას ჭეშმარიტი ქომაგი და მოჭირნახულე ჰყავს.

ვახტანგ იმნაიშვილი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის პროფესორი.

მათრახები უნივერსიტეტის იდეისათვის

მეცხრე გვერდიდან

— ელოდები და ღელავ... მართლა დიდი სიხარულია, როცა რაღაცას **აღმოაჩენ. ზ**ოგადად, არქეოლოგიური გათხრები საზამთროს ჰგავს – გაჭრი და არ იცი, შიგნით რა დაგხვდება. ასეა არქეოლოგიაშიც — შეიძლება ბევრი იშრომო, გათხარო დიდი ფართობი და იქაურობა გაძარცვული დაგხვდეს (სამარხები თავიდანვე იძარცვებოდა), რადგან იცოდნენ, რომ მიცვალებულებს ძვირფას ლითონებს ატანდნენ და ამიტომ ძარცვავდნენ. მაგალითად, თეთრიწყაროსთან გავთხარე ყორღანი და ერთი ნატეხი თიხის ჭურჭელი ვიპოვე მხოლოდ, მეტი აღარაფერი იყო დარჩენილი. ასეთი ბევრია. მაგალითად, იგივე კოფტინმა 50-მდე ყორღანი გათხარა და სულ რამდენიმე იყო გაუძარცვავი.

— თქვენ საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში იყავით უნივერსიტეტის რექტორი. როგორ გაიხსენებდით იმ დროს?

თრიალეთის თასი

— ჩემამდე უნივერსიტეტის რექტორი ნოდარ ამაღლობელი იყო. მახსოვს, რომ მან ტელევიზიით შეიტყო თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ. ერთ დღესაც რექტორატის კორიდორში ვიდექით. კაბინეტიდან მაშინდელი განათლების მინისტრი ელიზბარ **ჯაველიძე გამოვიდა და ჩემზე მი**ათითა — აი, ვინ შეიძლება იყოს რექტორიო... მე, რა თქმა უნდა, უარი ვთქვი, რადგანაც ეს ჩემი საქმე არ იყო, მაგრამ ჩამაცივდნენ მარიკაც, როინიც და მიმიყვანეს ზვიად გამსახურდიასთან. ზვიადს მანამდეც ვიცნობდი. მისი და — თამარ გამსახურდია ჩემი **სტუ**დენტი იყო და მერე ჩვენთან მუშაობდა... მათთან ოჯახშიც ნამყოფი გახლდით... მოკლედ, დავთანხმდი, მაგრამ მაშინვე ვუთხარი, რომ ეს დროებითი იყო.

იდგა 1991 წელი და ჩემი ცხოვრების ყველაზე მძიმე ეტაპი... მაშინ საზოგადოების ოპოზიციურად განწყობილი ნაწილი უნივერსიტეტის კიბეებზე ისხდა. სხვადასხვა პარტია აქტიურობდა. ყველას უნდოდა აქ შემოჭრა და ოფისების გაკეთება. ერთხელ ვაჟა ადამია შემოვიდა, მოიხსნა იარაღი და პირდაპირ ჩემს მაგიდაზე დადო.... ირაკლი წერეთელმა კი „საქმიანი წინადადებით“ მომმართა – შენ აქ რამდენი გაქვს ხელფასიო... ვუთხარი და გაეცინა – წამო ჩემთან, მე უფრო მეტს მოგცემო... აი, ასეთი დამოკიდებულება იყო, არაფრად დაგიდევდნენ უნივერსიტეტს და მის პრესტიჟს, ოღონდაც უნივერსიტეტის სტუდენტების მხარდაჭერა მოეპოვებინათ.

აქ ჯარი იდგა. მახსოვს, რამდენიმე მათი მომხრე ცხენებით შემოვიდა უნივერსიტეტის ეზოში. ორი ცხენი აღვირით დავიჭირე, რომ აქეთ აღარ წამოსულიყვნენ და სულ მათრახები მირტყეს ზურგზე... ასე მეჭირა მაშინ უნივერსიტეტი. ამ საშინელებას ერთი თვე გავუძელი, მერე კი, როცა დაიწყო ზემოდან რეკვები – ეს მოხსენი და ის გაათავისუფლეო, დავწერე განცხადება და წამოვედი.

— მაინც ვის მოხსნას ითხოვდნენ?

— **რისმაგ გორდეზიანის, ელგუჯა ხინთიბიძის** და სხვების. მათ შორის, ნოდარ კაკაბაძისაც... მისი მოხსნა იქნებოდა? ეს ადამიანი ნებისმიერ უნივერსიტეტს დაამშვენებდა... მე არავის გაშვება არ მიფიქრია. მერე როგორ შემეხედა მათთვის თვალებში?

გამსახურდიას სწავლის დაწყების ძალიან ეშინოდა. გადავდეთ და გადავდეთ იმ წელს სწავლა, მაგრამ უკვე ოქტომბერი იდგა და რამდენ ხანს უნდა გადაგვეწია? მოვიწვიე საბჭო და გადავწყვიტეთ სწავლა დაგვეწყო. როგორც ჩანს, ამან გააღიზიანა გამსახურდია. დამიბარა და საყვედურებით ამავსო.

— თქვენს საქმიანობას ოჯახი როგორ ეგუებოდა? ძნელია, როცა ოჯახის უფროსი თვეების მანძილზე მისგან შორს იმყოფება...

— შეგუებული იყვნენ. ჩემს ოჯახს უძღვებოდა ჩემი მეუღლე, რომელიც 5 წელია გარდაიცვალა. ახლა ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნებოდა — მას ეცოცხლა და მე წავსულიყავი...

3 შვილი მყავს. ვაჟი — კახა, ალბათობის თეორიაში მუშაობდა. მერე ჰოლანდიაში წავიდა, იქაური ცოლი მოიყვანა და, ფაქტობრივად, იქაური ქუდი დაიხურა. მისმა შვილებმა ქართული არ იციან და მე — ჰოლანდიური, ამიტომ საერთოც არაფერი მაქვს მათთან. ქალიშვილი — ნანა, ჩვენთან

დოცენტის თანამდებობაზე მუშაობდა ხელოვნების კათედრაზე. კონკურსებზე არც შეუტანია განაცხადი. უმცროსი ქალიშვილი — თამრიკო ფილოსოფოსია. კანადაში დაამთავრა და დაიცვა დისერტაცია. დღეს იგი ილიას უნივერსიტეტში მოღვაწეობს.

არქეოლოგიაში არც ერთი არ წამოვიდა, თუ არ ჩავთვლით ნანას, რომელიც ხელოვნებაში არქეოლოგიურ მასალაზე მუშაობდა.

— ცხოვრებას რომ თავიდან იწყებდეთ, შეცვლიდით რამეს?

— არა. ისევ ამ გზას ავირჩევდი. ისე ვცხოვრობდი, როგორც შეიძლებოდა საბჭოთა კავშირში გეცხოვრა. მთელი ცხოვრება ჩემმა საქმემ და მეგობრებმა გადამატანინეს.

უკეთ სიცილისთვის „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“

შურთხია ბეროშვილი

„ვარ გიორგი ჯამბურიძე, 19 წლის, აბიტურიენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩასაბარებლად ვემზადები, 3 წელია „ჰოპლა — 126“ სკოლის გუნდის წევრი ვარ, წელს კი პირველად ვთამაშობ თსუ-ის გუნდში. ვამაყობ, რომ მხიარულთა და საზრიანთა კლუბში ვიღებ მონაწილეობას და ვამტკიცებ, რომ „მან-სან-კანი“ ყველაზე მაგარი თამაშია ამ ქვეყნად. ნახევრად ხუმრობით დავამატებ, რომ ეს თამაში ძალიან აზარტულია და თუ ერთხელ შეისუნთქე „კავეენის სცენის მტვერი“, სამუდამოდ „დაავადდები“. ჩემს გუნდს „ჰოპლა“ ჰქვია და გამარჯვებისთვის მზად არის!“

როგორც „ლას სტუდენტას“ გუნდის კაპიტანმა აღნიშნა, მართალია, ტურნირში 4 გუნდი მონაწილეობს, მაგრამ ისინი მაინც ერთი გუნდის წევრები არიან და საქართველოს ჩემპიონატში გაერთიანებული ძალებით მონაწილეობენ. „ჩვენ მეგობრები ვართ და, შესაბამისად, კონკურენციაც ჯანსაღია“, — ამბობს ვანო.

„გედევან ფოფხაძის ექვსეულის“ კაპიტანს ალექსა ძაგნიძესაც თავიდანვე ჰქონდა გამარჯვების იმედი. მისი გუნდის წევრები: სალომე ჩხეიძე, ილია გველესიანი, გიორგი ლომჯარია, ემირი ბერიშვილი, ნათია ბადირიეშვილი განსაკუთრებულად მოემზადნენ ტურნირისათვის. „ლექციების შემდეგ ყოველდღე ვიკრიბებით და გვიანობამდე ვწერთ სცენარებს,

თსუ-ის მხიარულთა და საზრიანთა გუნდების თამაში ჟიურიმ შეაფასა. მან-სან-კანის ფედერაციის პრეზიდენტის ნიკა მახვილაძის, „კომედი შოუს“ იუმორისტის ამიკო ჩოხარაძის, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის დაჩი გუბაძის, თსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანაშემწის გიორგი გაფრინდაშვილისა და თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის ირაკლი ხარჯავანიძის ერთობლივი გადაწყვეტილებით, გუნდებმა: „გედევან ფოფხაძის ექვსეულმა“ და „ლას სტუდენტამ“ 71-71 ქულით და „ფანტომასმა“ 69 ქულით ფინალში გასვლის უფლება მოიპოვეს.

მართალია, გიორგის გუნდი ფინალში ვერ გავიდა, მაგრამ ამან ხალისი და შემართება ვერ დაუკარგა, 11 აპრილს უნივერსიტეტის VIII კორპუსში გამართულმა სანახაობამ დაამტკიცა, რომ მთავარია, ხალისიანი განწყობა.

აღსანიშნავია, რომ „კავეენის” შიდა საუნივერსიტეტო შესარჩევი ტურნირი გასული წლის 5 ნოემბერს დაიწყო. 25-26 დეკემბერს მეოთხედფინალი გაიმართა, რის შედეგადაც მონაწილე 6 გუნდიდან მხიარულთა და საზრიანთა კლუბის შიდასაუნივერსიტეტო შესარჩევი ტურის ნახევარფინალში თსუ-ის 4 გუნდი გადავიდა. გუნდები: „ჰოპლა“, „გედევან ფოფხაძის ექვსეული“, „ლას სტუდენტას“ და „ფანტომასი“ ერთმანეთს „საშინაო დავალების“ შესრულებაში, კითხვა-პასუხში და სკეტჩების წარმოდგენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს.

„ლას სტუდენტას“ კაპიტანი ვანო გუმბერიძე თავიდანვე დარწმუნებული იყო თავისი გუნდის წარმატებაში. „ვეცადეთ ღირსეულად წარვმდგარიყავით მაყურებლის წინაშე. მე და ჩემი გუნდის წევრებმა: ბესო ჭეიშვილმა, ნიკუშა სადრაძემ, მარიამ გიორგობიანმა, ნინო იობაშვილმა და ირაკლი მაჩიტიძემ გამარჯვების მოსაპოვებლად სრული მობილიზაცია გამოვაცხადეთ. ქართველებს კარგი იუმორი გვაქვს და ჩვენც ვცდილობთ მათი გემოვნება დავაკმაყოფილოთ. „კავეენი“ თამაშია, რომელიც მუდმივ იმპროვიზაციას მოითხოვს, ამიტომ შეიძლება ბოლო დღესაც კი შეიცვალოს რომელიმე ნომერი. მთავარი მაინც ის არის, რომ მაყურებელი გავაცინოთ“, — ამბობს ვანო გუმბერიძე.

პატარა მინიატურებს, სკეტჩებს, მუსიკასაც ჩვენ თვითონ ვარჩევთ, ძალიან მოგვწონს „კავეენი“ და სხვებსაც ვურჩევთ შემოგვიერთდნენ“, — აღნიშნა საუბარში სალომე ჩხეიძემ. გუნდის კაპიტანმა კი საგანგებოდ მთხოვა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ საშუალებით კასტინგი გამომეცხადებინა. „სექტემბრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა და კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი მასშტაბურ ღონისძიებას გეგმავს და კარგი იქნება, თუ ამ სახალისო შეჯიბრში უფრო მეტი სტუდენტი ჩაერთვება. ამიტომ, მზად ვართ, ყველა მსურველი, ვისაც იუმორის გრძნობა აქვს, მივიღოთ ჩვენს რიგებში“, — განაცხადა ალექსა ძაგნიძემ.

მან-სან-კანის მხიარულ შეჯიბრზე ღირსეულად წარსდგა გუნდი „ფანტომასი“ თორნიკე პარუნაშვილის, ზუკა კოკაიას, ანა გაბედავას, ქეთი შარაბიძის, მიშკა გოგავას, კაკი ჭანკურიძის, ბექა ჭყოიძის, გუკო ჩხიკვაძის შემადგენლობით. სტუდენტებმა ძალ-ღონე არ დაიშურეს მაყურებლის გასამხიარულებლად და მიზანსაც მიაღწიეს.

გიორგი გაფრინდაშვილის ინფორმაციით, ტურნირი თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის და კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელშეწყობით გაიმართა და მათივე ინიციატივით სტუდენტებს ამ მიმართულებით მრავალი სიახლე ელით. „რუსთავი 2”-ის სატელევიზიო პროექტის „კომედი შოუს“ მსახიობმა გიორგი აფციაურმა კი იუმორით აღნიშნა: „გასაკეთებელი კიდევ ბევრია“, თუმცა, დღევანდელმა დღემ ყველა დაარწმუნა იმაში, რომ თსუ-ის გუნდებს წინ ახალი წარმატებები ელოდებათ“.

აღსანიშნავია, რომ „კავეენის“ სატელევიზიო პროექტში, რომელიც ტელეკომპანია „იმედით“ გადაიცემა, თსუ-ის ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. თსუ-ის მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ძველი თაობის წარმომადგენლები კი ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ზე ახალ იუმორისტულ პროექტზე — „თქვენი შოუ“ მუშაობენ, რომელიც უახლოეს მომავალში გავა ეთერში. იმედი აქვთ, რომ ამჯერად მათ ხუმრობებზე მთელი საქართველო გულიანად იცინებს.

მთავარი რედაქტორი	**ნინო კაკულია**	
მთავარი სპეციალისტი	**მაია ტორაძე**	
ტექნიკური რედაქტორი	**მანანა ჯურხაძე**	
ფოტოკორესპონდენტი	**ლიკა პეტრიაშვილი**	
კომპიუტ. უზრუნველყოფა	**გიორგი წიქარიშვილი**	

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ვაჟა კიკნაძე, დიანა ძიძიგური, ნანა ჭიღლაძე, თეა ჯუღელი

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11°
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
22 36 62